

ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 3 (302)
მარტი
2022

25 წელი ერთად...



საქართველოს პროფესიული აკადემია
Gfpaა

საპარტნიორო პროფესიონალი
ბაკალავრის და მაგისტრის დიპლომების

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 3 (302)

მარტი

2022

რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი საბა ძაძამია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ნადეჟდა კვატაშიძე; დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე;
რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

| | |
|--|----|
| ინფორმაცია ფელერაციიდან | 3 |
| ბაფის მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები 2022 წლისათვის | |
| პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად | |
| რეგისტრაციის უძღვება ბაბი ალკვერდაშვილი | |
| ფასდადგენა – თეორიული ასპექტები | |
| მოდული – „საქმიანობის შედეგების მართვა“ | 9 |
| სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ბიოლოგიური აქტივების აღრიცხვა | |
| მოდული „ფინანსური ანგარიშგება“ | 17 |
| რეკომენდებული მიდგომა | |
| „სანარმოს სტრატეგიული ანგარიშგების“ მოდულის | |
| გამოცდის „ბ“ განყოფილებისთვის | 25 |
| საბა ძაძაძია | |
| ACCA გლობალური ბიზნესსერვისების სერტიფიკატს გაუშვებს | 32 |
| აუდიტი 10 წელიწადში | 33 |
| ოფიციალური მასალები | 35 |
| კითხვა-პასუხი | 52 |
| ინფორმაცია პირუბიდან | 57 |

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“: ა/ა GE40TB060000007467286 საიდენტიფიკაციო კოდი 203 855 220

ჟურნალი ააწყო და დააკაბადონა ნ. ყაველაშვილიმა
გადაეცა წარმოებას 13.04.2022. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.04.2021.
ფორმატი 70x108 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3,75. ტირაჟი 1500

ფასი 6 ლარი



დამტკიცებულია:
გამგეობის სხდომის
ოქმი 3/ 28.02.2022

ბაფის მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები 2022 წლისათვის

| | შემოსავლები | ლარში | |
|----|--|-----------------|--------------|
| 1 | საწვერო შენატანებიდან | 231,200 | (შენიშვნა 1) |
| 2 | განათლებისა და სერტიფიცირების პროგრამებიდან | 423,600 | (შენიშვნა 2) |
| 3 | სხვა შემოსავლები | 199,100 | (შენიშვნა 3) |
| | სულ შემოსავლები | 853,900 | |
| | ხარჯები | | |
| 1 | წევრების მომსახურებასთან დაკავშირებული | 230,127 | (შენიშვნა 4) |
| 2 | განათლებასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული | 467,008 | შენიშვნა 5) |
| 3. | სხვა შემოსავლებთან დაკავშირებული | 235,674 | (შენიშვნა 6) |
| | სულ ხარჯები: | 932,809 | |
| | დეფიციტი: | (78,909) | |

განმარტება: 1. პროექტით წარმოდგენილ სხვა შემოსავლებსა და ხარჯებში პუნქტი „სერტიფიცირების ლიტერატურის განახლება“ შესრულდება იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსდება ბაფის მიერ „მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში“ წინაშე წარდგენილი გრანტის პროექტი (51,000 ლარი) რომელზედაც შედგა მოლაპარაკებები და არსებობს დონორის მიერ გამოხატული მხარდაჭერის სურვილი. გრანტის ვერმილების შემთხვევაში, ლიტერატურის განახლების პროცესი გადაინეწვეს 2023 წლისათვის და წლიურ ფინანსურ შედეგზე გავლენა არ ექნება;

პროექტში განხილული არ არის გრანტებიდან სხვა, შესაძლო შემოსავლების მიღება, აგრეთვე ხარჯები, რომელიც შეიძლება დამატებით წარმოიქმნას კომიტეტების სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ზოგიერთი საქმიანობის დასაფინანსებლად. გაუთვალისწინებლობის საფუძველი:

- ბიუჯეტის შედგენის დღისათვის საგრანტო პროექტზე ინფორმაციის არ არსებობა;
- მიმდინარე ეტაპზე კომიტეტების სამოქმედო გეგმები დამტკიცებული არ არის და დამატებით დასაფინანსებელ მუხლებზე ინფორმაციის არ ქონა.

განმარტება: 2. დეფიციტის გამომწვევი არსებითი ფაქტორები:

| დეფიციტთან დაკავშირებული მუხლების ცვლილება გასულ წელთან შედარებით | შემოსავალი შემცირდა/ხარჯი გაიზარდა | ხარჯი შემცირდა |
|---|------------------------------------|----------------|
| მცირდება შემოსავლები - განათლება და სერტიფიცირებიდან | 95,000 | |
| მცირდება სხვა შემოსავლები (პროცენტი, დივიდენდი) | 10,000 | |
| იზრდება ოფისის იჯარა | 8,000 | |
| სხვა მუხლებში (არაარსებითი) ცვლილებები | 2,000 | |
| მცირდება განათლებისა და სერტიფიცირების ხარჯები | | 36,000 |
| ჯამი: | - 115,000 | 36,000 |
| დეფიციტი | -- 79,000 | |

განმარტება: 3. COVID-19-ის პანდემიით შექმნილი ბუნდოვანობის გათვალისწინებით, შესაძლებელია საჭირო გახდეს საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების გადასინჯვა და კორექტირება, გამგეობასთან შეთანხმებით.

განმარტება: 4. ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლებზე გადამეტებული ხარჯები დაიფარება გასული წლების რეზერვებიდან.

1. შემოსავლები საწევრო შენატანებიდან 231,200 ლარი (1-ლი შენიშვნა)

| | | |
|----|---|---|
| 1. | ნამდვილი წევრების საწევრო შენატანები, მ.შ: წევრი აუდიტორების - 36,000 (300 წევრი x 10 ლ. x 12 თვე); პროფესიონალი ბუღალტრების - 20,700 (345 წევრი x 5ლ. x 12თვე) | 56,700 ლარი |
| 2. | ასოცირებული წევრების შენატანები | 66,000 (5,500 წევრი x 1 ლ. x 12 თვე) ლარი |
| 3. | 2022 წელს მიღებული წევრები | 5,500 (500 ახალი წევრი x 11ლ.) ლარი* |
| | სულ შემოსავლები ფიზიკური პირებიდან | 128,200 ლარი |
| 4. | კორპორაციული საწევრო შენატანები | 103,000 (3კ. x 12,000) + (2კ. x 10,000) + (47კ. x 1,000ლ) ლარი** |
| | სულ საწევრო შემოსავლები | 231,200 ლარი |

4

* საბიუჯეტო პერიოდში ივარაუდება 500-მდე ახალი წევრის მიღება, რომლებიც გადაიხდიან განწევრიანების ერთჯერად გადასახადს - 5 ლარს და საწევროს - 6 ლარს (განწევრიანების პერიოდების განსხვავების გამო, ახალი წევრების მიერ საანგარიშო წლის საწევრო შენატანები საშუალოდ გათვლილია 6 თვეზე).

** კორპორაციული საწევრო წლიური შესატანი დადგენილია ბაფის წევრი კომპანიების შემოსავლების (საბიუჯეტო წლის წინა საანგარიშგებო წლის) მიხედვით.

**2. შემოსავლები განათლებისა და სერტიფიცირების პროგრამებიდან
423,600 ლარი**

(მე-2 შენიშვნა)

ა) სასწავლო პროგრამებიდან 155,000 ლარი

| | | |
|----|------------------------|--|
| 1. | განგრძობითი სწავლება | 143,000 (300 წევრი x 300ლ) + (265 წევრი x 200ლ) ლარი * |
| 2. | სხვადასხვა ტრენინგები | 12,000 ლარი** |
| | სულ შემოსავლები | 155,000 ლარი |

* განგრძობითი პროგრამის სემინარში მონაწილეობის ღირებულება აუდიტორებისათვის 300 ლარი დღე-ის გარეშე, ხოლო სხვა ნამდვილი წევრებისათვის 200 ლარი.

** 2022 წელს წევრებისათვის დაგეგმილია სემინარები (30 საათი). ერთ სემინარში (საშუალოდ 3 საათი) მონაწილეობისათვის წევრი გადაიხდის 12 ლარს (დღე-ს გარეშე). ივარაუდება, რომ ყველა სემინარში (ჯამურად) მონაწილეობას მიიღებს 1000 პირი და მიღებული შემოსავალი იქნება 12,000 (1000მს. X12ლ.) ლარი.

ბ) სერტიფიცირების პროგრამებიდან 268,600 ლარი

| | | |
|----|---------------------------|--|
| 1. | სერტიფიცირების გამოცდები | 185,600 (900 კანდ. x 176ლ.)+ (80 კანდ. x 340ლ.) ლარი* |
| 2. | გამოცდების ჩათვლა | 10,000 (100 კანდ. x 90ლ.)** |
| | სერტიფიცირების ლიტერატურა | 73,000 (550 ეგბ. x 50ლ) + (350ეგ. x 70ლ.) ლ; (140ეგ. x 150ლ.) ლარი *** |
| | სულ შემოსავლები | 268,600 ლარი |

* ივარაუდება, რომ 2022 წელს ზამთრისა და ზაფხულის გამოცდებზე მონაწილეობას მიიღებს 980 კანდიდატი. მათ შორის, პირველ ორ ეტაპზე 900 ხოლო მესამე ეტაპზე 80 კანდიდატი.

** ბიზნესის ადმინისტრირების პროფილით სერტიფიცირების კანდიდატებს უფლება აქვთ მიიღონ პირველი ეტაპის მოდულებში გამოცდების ჩათვლა. ჩათვლებიდან მოსალოდნელი შემოსავლები დაგეგმილია 2020-2021 წლების ანალოგიით

*** სერტიფიცირების ლიტერატურის ღირებულება განსხვავდება სერტიფიცირების დონეების მიხედვით.

3. სხვა შემოსავლები 199,100 ლარი

(მე-3 შენიშვნა)

| | | |
|----|--------------------------------------|---------------------|
| 1. | შემოსავალი დისტრიბუციიდან | 90,000 ლარი* |
| 2. | საიჯარო შემოსავლები | 10,100 ლარი** |
| 3. | პროცენტიდან შემოსავალი | 48,000 ლარი *** |
| 4. | დონორი ორგანიზაციებისგან დაფინანსება | 51,000 ლარი |
| * | სულ სხვა შემოსავლები | 199,100 ლარი |

* დისტრიბუციიდან შემოსავლები გათვლილია "ბრუტო" პრინციპით, საიდანაც პროგრამების ღირებულების 60% ერიცხება პროგრამის მესაკუთრეს.

** შემოსავალი მიიღება საოფისე ფართობის ნაწილის ქვეიჯარიდან.

*** საბანკო დეპოზიტზე განთავსებულ თანხებზე დარიცხული პროცენტი.

ხარჯები

1. საწვრო შემოსავლებთან დაკავშირებული ხარჯები - 225,127 ლარი (მე-4 მენიშენა)

| | | |
|---|--|---------------------------------------|
| ფიზიკური პირი წევრების მომსახურების ხარჯები -- 129,315 ლარი, მათ შორის: | | |
| 1. | საწვრო გადასახადი ბულალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში | 7,750 (2,500 აშშ დოლარი x 3,1) ლარი * |
| 2. | კონსულტანტების ხელფასი | 15,000 (1,250 x 12თვე) ლარი |
| 3. | წევრებთან ურთიერთობის მენეჯერი ხელფასი | 7,500 (625 x 12თვე) ლარი |
| 4. | სემინარები წევრებისათვის (პროგრამა Zოომ და ლექტორების ხელფასი) | 7,000 ლარი** |
| 5. | საექვო მოთხოვნების კორექტირება | 25,000 ლარი*** |
| 7. | ადმინისტრაციული ხარჯები | 67,065 (447,100 x 15%) ლარი |
| სულ ფიზიკური პირების მომსახურების ხარჯები | | 129,315 ლარი |
| კორპორაციული წევრების მომსახურების ხარჯები - 95,812 ლარი, მათ შორის: | | |
| 1. | საწვრო გადასახადი | 7,750 (2,500 აშშ დოლარი x 3,1) ლარი * |
| 2. | დიაგნოსტიკური ანგარიშების მომზადება კორპორაციული წევრებისათვის | 4,000 (4კომპ. x 1000ლ.) ლარი |
| 3. | დისციპლინარული მოკვლევა | 3,000 (2მოკვ. x 1,500ლ.) ლარი |
| 4. | სემინარები წევრებისათვის (პროგრამა Zოომ და ლექტორების ხელფასი) | 3,000 ლარი** |
| 5. | კონსულტანტის ხელფასი | 12,000 (1,000 x 12თვე) ლარი |
| 6. | წევრებთან ურთიერთობის მენეჯერი | 7,500 (625 x 12თვე) ლარი |
| 7. | საექვო მოთხოვნების კორექტირება | 5,000 |
| 8. | ადმინისტრაციული ხარჯები | 53,652(447,100 x 12%) ლარი |
| სულ კორპორაციული წევრების მომსახურების ხარჯები | | 95,812 ლარი |

* ბულალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში წლიური საწვრო გადასახადი არის 5000 აშშ დოლარი. გადასახადის 50% გადახდილი იქნება ფიზიკური პირი წევრების შემოსავლებიდან, ხოლო 50% კორპორაციული საწვრო შემოსავლებიდან.

** საანგარიშო წელს დაგეგმილია 30 საათიანი ონლაინ სემინარები წევრებისათვის. სემინარების ჩატარებისათვის შეძენილია პროგრამა Zოომ, რომლის ხარჯები თანაბრადაა (6,000/2) მიკუთვნებული ფიზიკური პირებისა და კორპორაციული წევრების მომსახურების ხარჯებს. სემინარების ლექციების ჩატარების მოსალოდნელი ხარჯია: წვერი ფიზიკური პირების 4,000 (20სთ. X 200ლ.), ხოლო კორპორაციული წევრების 2,000 (10სთ. X 200ლ.) ლარი.

*** გასული წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასოცირებული წევრების მნიშვნელოვანი და კორპორაციული წევრების გარკვეული ნაწილი არ/ვერ ასრულებს ვალდებულებებს და საჭირო ხდება მათზე დარიცხული მოთხოვნების კორექტირება. საბიუჯეტო წელს გათვალისწინებული კორექტირების თანხის გაანგარიშება ეფუძნება გასული წლების პრაქტიკას.

2. განათლებისა და სერტიფიცირების ხარჯები - 467,008 ლარი

(მე-5 შენიშვნა)

ა) განათლების ხარჯები: 154,722 ლარი;

| | განათლება | |
|---|--|------------------------------------|
| 1. | განგრძობითის სემინარების ტრენინგი/მასალები | 33,750 (9 ჯგ. x 3,750ლ.) ლარი |
| 2. | განათლების კომიტეტის თავმჯდომარის ხელფასი | 21,600 (1,800 ლ x 12თვე) ლარი |
| 3. | განათლების მეთოდისტის ხელფასი | 12,000 (2,000 ლ x 12/2 თვე) ლარი |
| 4. | სხვა სასწავლო პროგრამები | 6,000 (30 სთ x 200 ლ.) |
| 5. | ადმინისტრაციული ხარჯები | 81,372 ლარი (447,100 x 18,2%) ლარი |
| სულ სასწავლო პროგრამების ხარჯები | | 154,722 ლარი |

ბ) სერტიფიცირების ლიტერატურისა და საგამოცდო პროცესის ხარჯები - 312,286 ლარი

| | | |
|-----------------------------------|---|---|
| 1. | საგამოცდო ტესტების/ამოცანების მომზადება | 20,800 (13 გამ. x 2 ჯერ x 800ლ) ლარი |
| 2. | საგამოცდო მასალის გამრავლება | 2,200 (1,000 პრეტ..x 2ლ.) ლარი |
| 3. | გამოცდაზე ზედამხედველობა | 11,000 (14დღე x 18ზედამ. x 45ლ) ლარი |
| 4. | ნაშრომების შეფასება | 8,000 (500 ნ. x 8 ლ.)+(400ნ. x 10ლ.) ლარი |
| 5. | გასწორებული ნაშრომების აუდიტი | 1,200 (1,200 ნაშრ.. x 2% x 50ლ.) ლარი |
| 6. | კომიტეტის თავმჯდომარის ხელფასი | 24,000 (2,000 ლ x 12თვე) ლარი |
| 7. | განათლების მეთოდისტის ხელფასი | 12,000 (2,000 ლ x 12/2 თვე) ლარი |
| 8. | განათლების კოორდინატორის ხელფასი | 30,000 (2,500 ლ x 12 თვე) ლარი |
| 9. | საგამოცდო აუდიტორიების იჯარა | 14,000 (16 დღე x 875 ლ.) ლარი |
| 10. | საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ხელფასი | 24,000 (2000 ლx 12 თვე) ლარი |
| 11. | სერტიფიცირების წიგნებზე საავტორო უფლება | 18,000 (225ეგბ.x80ლ/20ფუნტი) ლარი |
| 12. | დამხმარე სახელმძღვანელო ლიტერატურის მასალების თარგმნა | 6,250 (250გვ.x25ლ.) ლარი |
| 13. | ადმინისტრაციული ხარჯი | 140,836 ლარი (447,100 x 31,5%) ლარი |
| სულ სერტიფიცირების ხარჯები | | 312,286 ლარი |

3. სხვა შემოსავლებთან დაკავშირებული ხარჯები - 235,674 ლარი

(მე-6 შენიშვნა)

| | | |
|-------------------------|--|-----------------------------------|
| 1. | საბუღალტრო პროგრამების ღირებულება | 54,000 (95,000 x 60%) ლარი |
| 2. | პროგრამის დისტრიბუტორის ხელფასი | 18,000 (36,000/2ლ) ლარი |
| 3. | ქველმოქმედება | 1.000 ლარი |
| 4. | ქონების გადასახდი | 1,500 ლარი |
| 5. | 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი | 6.000 ლარი |
| 6. | დონორებისგან მიღებული დაფინანსების ხარჯი | 51,000 ლარი |
| 7. | ადმინისტრაციული ხარჯი | 104,174 (447,100 x 23,3%) ლარი |
| სულ სხვა ხარჯები | | 235,674 ლარი |

4. განაწილებული ადმინისტრაციული ხარჯები - 447,100 ლარი *

ა) სათავო ოფისი - 408,300 ლარი

| | | |
|-----------------------------------|---------------------------------------|--|
| 1. | ხელფასი | 294,000 (24,500ლ.x12თვე) ლარი |
| 2. | ოფისის იჯარა | 68,000 (5,000 x 2თვე+5,800ლx10თვე) ლარი |
| 3. | კომუნიკაციის ხარჯები | 8,000 ლარი |
| 4. | საკანცელარიო ხარჯები | 8,400 (700ლ.x12თვე) ლარი |
| 6. | ტექნიკური აღჭურვილობის რემონტი | 1,000 ლარი |
| 8. | ა/მანქანის საწვავი, რემონტი, დაზღვევა | 7,800 (650 ლარი x12თვე) |
| 9. | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი | 13,000 ლარი |
| 11. | ადმინისტრაციული ხარჯების ჯამი | 406,800 ლარი |
| 12. | სხვა, გაუთვალისწინებელი ხარჯი | 8,100 (406,800 x0,02%) |
| სულ: სათავო ოფისის ხარჯები | | 408,300 ლარი |

ბ) ფილიალები - 38,800 ლარი

| | | |
|--------------------|---------------------------------|-------------------|
| 1. | ხელფასი | 25,500 ლარი |
| 2. | ოფისის იჯარა | 9,000 ლარი |
| 3. | კომუნალური ხარჯები (ტელ. ფაქსი) | 3,500 ლარი |
| 4. | საკანცელარიო ხარჯები | 300 ლარი |
| 7. | სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები | 5.00 ლარი |
| სულ ხარჯები | | 38,800ლარი |

* ადმინისტრაციული ხარჯები განაწილებულია მომსახურების სფეროების მიხედვით, დაგეგმილი შემოსავლების პროპორციულად.

ლავრენტი ჭუმბურიძე
აღმასრულებელი დირექტორი

ფასდადგენა – თეორიული ასპექტები

მოდული – „საქმიანობის შედეგების მართვა“

„საქმიანობის შედეგების მართვის“ მოდულის სასწავლო პროგრამის გ (4) ნაწილი ეხება ფასების დადგენასთან დაკავშირებულ გადანყვეტილებებს და ეს თემა მოხერხებულად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად:

- თეორიული მიდგომები, რომლებიც მოიცავს ზოგიერთ შედარებით მარტივ მათემატიკურ საკითხს და საკითხებს მიკროეკონომიკიდან. ამ მეთოდების გამოყენებისთვის აუცილებელია ზუსტი ეკონომიკური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს პროდუქტის გაყიდვების მოცულობაზე მისი გასაყიდი ფასი.
- პრაქტიკული მიდგომები, რომლებიც, სავარაუდოდ, უფრო მეტად გამოსადეგი იქნება მრავალი კომპანიისთვის, რომელსაც არ გააჩნია ზემოხსენებული დეტალური ეკონომიკური ინფორმაცია.


ეს სტატია ანუ სტატიის პირველი ნაწილი ეხება ფასდადგენის გადანყვეტილებების თეორიულ ასპექტებს, ხოლო მეორე სტატიაში განვიხილავთ ამ გადანყვეტილებებთან დაკავშირებულ ძირითად პრაქტიკულ საკითხებს.

მოთხოვნის მრუდები

მოთხოვნის მრუდი გვიჩვენებს პროდუქტის ერთეულის ფასს (P) და გაყიდული ერთეულების რაოდენობას (Q) შორის ურთიერთკავშირს. თქვენ საგამოცდო მასალაში შეგხვდებათ ისეთი მოთხოვნის მრუდები, რომლებიც გამარტივებულია, მისი გრაფიკულად წარმოდგენა შესაძლებელი იქნება წრფის მეშვეობით და არ დაგჭირდებათ მრუდის დახაზვა.

გრაფიკში Q (გაყიდული ერთეულების რაოდენობა) ყოველთვის იქნება ჰორიზონტალურ ღერძზე, ხოლო P (ფასი) – ვერტიკალურ ღერძზე. მაგალითად, აქ ჩვენ გვაქვს ცხრილი, რომელიც მოიცავს მონაცემებს პროდუქტის ერთეულის ფასისა და გაყიდული რაოდენობის შესახებ და ასევე შესაბამისი მოთხოვნის მრუდი:

| Q რაოდენობა | P ერთეულის ფასი, \$ |
|----------------|------------------------|
| 0 | 180 |
| 1,000 | 160 |
| 2,000 | 140 |
| 3,000 | 120 |
| 4,000 | 100 |
| 5,000 | 80 |
| 6,000 | 60 |
| 7,000 | 40 |
| 8,000 | 20 |
| 9,000 | 0 |




მოთხოვნის მრუდს დაღმავალი დახრა აქვს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ფასის შემცირებასთან ერთად იზრდება გაყიდული ერთეულების რაოდენობა. ცხრილიდანაც და გრაფიკიდანაც ხედავთ, რომ ყოველი \$20-ით ფასის შემცირებისას, გაყიდული ერთეულების რაოდენობა იზრდება 1000 ერთეულით.

\$180-ის ფასის შემთხვევაში ყველა მოთხოვნა ლიკვიდირდება (იფარება), ხოლო \$0-ის ფასის დროს მაქსიმუმ 9,000 ერთეულის „გაყიდვა“ იქნება შესაძლებელი. შეგვიძლია ვნახოთ, რომ \$180-ის ფასის დროს შემოსავალი იქნება ნული, რადგან არცერთი ერთეული არ იყიდება. \$0-ის ფასის დროსაც შემოსავალი ნული იქნება, რადგან პროდუქტებზე გადასახდელი ფასი არ არის დადგენილი.

ასევე შესაძლებელია შემოსავლის გრაფიკის დახაზვაც, თითოეული დონის ფასის გამრავლებით ერთეულების რაოდენობაზე:

| Q რაოდენობა | P ერთეულის ფასი | შემოსავალი \$000 |
|-------------|-----------------|------------------|
| 0 | 180 | 0 |
| 1,000 | 160 | 160 |
| 2,000 | 140 | 280 |
| 3,000 | 120 | 360 |
| 4,000 | 100 | 400 |
| 5,000 | 80 | 400 |
| 6,000 | 60 | 360 |
| 7,000 | 40 | 280 |
| 8,000 | 20 | 160 |
| 9,000 | 0 | 0 |



ამგვარად, შემოსავალი იზრდება, შემდეგ მცირდება, მაქსიმუმს აღწევს 4,000-დან 5,000-მდე ერთეულების გაყიდვის შემთხვევაში.

შემოსავლების მრუდის მარცხენა მხარეს, ვინაიდან გასაყიდი ფასები ეცემა 160-დან 140-მდე, 120-მდე და ა.შ. და გაყიდული ერთეულების რაოდენობა იზრდება 1,000-დან 2,000-მდე და 3,000-მდე, შემოსავალი იზრდება: გაყიდული ერთეულების რაოდენობის ზრდა აღემატება ფასის შემცირებას. ასეთ შემთხვევაში, ამბობენ რომ მოთხოვნა ელასტიურია, რადგან ფასის შედარებით მცირე პროპორციული შემცირება იწვევს გაყიდული ერთეულების მოცულობის შედარებით დიდ პროპორციულ ზრდას და, მაშასადამე, შემოსავალი იზრდება.

შემოსავლების მრუდის მარჯვენა მხარეს, ვინაიდან გასაყიდი ფასები ეცემა 80-დან 60-მდე, 40-მდე და ა.შ., ხოლო გაყიდული ერთეულების რაოდენობა იზრდება 5,000-დან 6,000-მდე და 7,000-მდე, შემოსავალი მცირდება: გაყიდული ერთეულების რაოდენობის ზრდა აღემატება ფასის შემცირებას, ყველა ერთეულისთვის. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ მოთხოვნა არ არის ელასტიური, რადგან ფასის შემცირება იწვევს გაყიდული ერთეულების მოცულობის შედარებით მცირე ზრდას და, შესაბამისად, შემოსავალი მცირდება.

მოთხოვნის ფასის ელასტიურობა ასე განმარტება:

$$\text{მოთხოვნის ფასის ელასტიურობა} = \frac{\text{პროცენტული ცვლილება რაოდენობის}}{\text{პროცენტული ცვლილება ფასის}}$$

ამგვარად, თუ ფასი იცვლება \$140-დან \$120-მდე, ხოლო რაოდენობა 2,000-დან 3,000-მდე, მოთხოვნის ფასის ელასტიურობა იქნება:

$$\frac{(2,000 - 3,000)/2,000}{(140 - 120)/120} = \frac{-0,5}{0.143} = -3,5$$

თუ ფასი იცვლება \$40-დან \$20-მდე, რაოდენობა გაიზრდება 7,000-დან 8,000-მდე და მოთხოვნის ფასის ელასტიურობა იქნება:

$$\frac{(7,000 - 8,000)/7,000}{(40 - 20)/40} = \frac{-0.143}{0.5} = -0.3$$

ჩვეულებრივ, ყურადღებას არ ვაქცევთ მინუსის ნიშნებს, ამიტომ ორი ელასტიურობა იქნება 3.5 და 0.3.

თუ მოთხოვნის ფასის ელასტიურობა 1-ზე მეტია, მაშინ მოთხოვნა ელასტიურია. ეს ასეა შემოსავლების მრუდის მარცხენა მხარეს. თუ მოთხოვნის ფასის ელასტიურობა 1-ზე მეტია, მაშინ ფასის ვარდნა ანაზღაურდება გაყიდული ერთეულების მოცულობისა და შემოსავლის ზრდით.

თუ მოთხოვნის ფასის ელასტიურობა 1-ზე ნაკლებია, მაშინ მოთხოვნა არ არის ელასტიური. ეს ასეა შემოსავლების მრუდის მარჯვენა ნაწილში. თუ მოთხოვნის ფასის ელასტიურობა 1-ზე ნაკლებია, მაშინ ფასის ვარდნა არ კომპენსირდება გაყიდული ერთეულების მოცულობის ზრდით და შემოსავლების შემცირებით.

თუ მოთხოვნის ელასტიურობა ბუსტად 1-ია, მაშინ ფასის ნებისმიერი ცვლილება ბუსტად კომპენსირდება გაყიდული ერთეულების მოცულობის ზრდით, ხოლო შემოსავალი უცვლელი რჩება. ეს ის არის, რაც ხდება გრაფიკის მცირე მონაკვეთზე, შემოსავლების მრუდის სულ ბედა ნაწილში, სადაც მრუდის ზრდადი მდგომარეობა იცვლება კლების ტენდენციით.

ზღვრული შემოსავალი

მოთხოვნის ელასტიურობასთან დაკავშირებულია ზღვრული შემოსავლის ცნება, რომელიც არის შემოსავლის ცვლილება იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი დამატებითი ერთეული გაიყიდება. თუ ერთი დამატებითი ერთეულის შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის, მაშინ ამის ნაცვლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ზღვრული შემოსავალი (ვთქვათ) 10, 100 ან 1,000 დამატებითი ერთეულის შესაბამისი.

თუ კიდევ ერთხელ გადახედავთ შემოსავლების მრუდს, ნახავთ, რომ მის მარცხენა მხარეს შემოსავალი მით უფრო იზრდება, რაც უფრო მეტი ერთეული იყიდება. ზღვრული შემოსავალი აქ დადებითი იქნება. უფრო ადრე, მრუდის დასაწყისში, მის ციკაბო ნაწილში, შემოსავალი სწრაფად იზრდება ყოველი დამატებითი 1,000 ერთეულის გაყიდვის შესაბამისად: აქ ზღვრული შემოსავალი მაღალი იქნება. მრუდის გასწვრივ გადაადგილებისას „ციკაბობა“ (ძლიერი დაქანებულობა) კლებულობს მანამ, სანამ ბედა ნაწილში ზღვრული შემოსავალი არ გახდება ნული (შემოსავლის ცვლილების გა-

რეზე), შემდეგ შემოსავლის ხაზი იწყებს დაცემას, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 1,000 ერთეულზე შემოსავალი მცირდება, ხოლო ზღვრული შემოსავალი უარყოფითი ხდება. მაღალი დადებითი ზღვრული შემოსავალი გულისხმობს მოთხოვნის ფასის მაღალ ელასტიურობას (>1). უარყოფითი ზღვრული შემოსავალი გულისხმობს მოთხოვნის დაბალ ელასტიურობას (<1).

ზღვრული შემოსავლების გამოთვლა შეგვიძლია ცხრილიდან შემდეგნაირად:

| რაოდენობა Q | ერთეულის ფასი P | შემოსავალი \$000 | ზღვრული შემოსავალი \$000 |
|----------------|--------------------|---------------------|--------------------------------|
| 0 | 180 | 0 | |
| 1,000 | 160 | 160 | 160 |
| 2,000 | 140 | 280 | 120 |
| 3,000 | 120 | 360 | 80 |
| 4,000 | 100 | 400 | 40 |
| 5,000 | 80 | 400 | 0 |
| 6,000 | 60 | 360 | -40 |
| 7,000 | 40 | 280 | -80 |
| 8,000 | 20 | 160 | -120 |
| 9,000 | 0 | 0 | -160 |

ზღვრული შემოსავლის სიდიდეს გავიგებთ შემოსავლის ზრდის გაანგარიშებით ყოველი დამატებითი გაყიდული მოცულობისთვის.

ამგვარად, 4,000 გაყიდული ერთეულისთვის ზღვრული შემოსავალი = $400 - 360 = 40$.

თქვენ ნახავთ, რომ ზღვრული შემოსავალი დასაწყისში არის დიდი და დადებითი, შემდეგ მცირდება, ხოლო ბოლოს უარყოფითი ხდება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ რაც უფრო მეტი ერთეული იყიდება, შემოსავალი, ფაქტობრივად, მით უფრო მცირდება, რადგან ფასის ვარდნა, რომელიც საჭიროა უფრო დიდი რაოდენობის ერთეულის გასაყიდად, აღემატება დამატებით გაყიდულ ერთეულებს.

მოგების მაქსიმიზაცია

მოგების გამოსათვლელად მხედველობაში უნდა მივიღოთ დანახარჯები და შემოსავლები. ჩვეულებრივ, თქვენ საქმე გექნებათ დანახარჯების მარტივ ფუნქციასთან:

მთლიანი დანახარჯები = მუდმივი დანახარჯები + (ცვლადი დანახარჯი პროდუქტის ერთეულზე x გაყიდული ერთეულების რაოდენობა)

დავუშვათ, რომ ამ მაგალითისთვის მუდმივი დანახარჯები არის \$50,000, ხოლო ცვლადი დანახარჯი ერთეულზე – \$65,

მაშინ დანახარჯები = $50,000 + (65 \times \text{გაყიდული ერთეულების რაოდენობა})$.

ცხრილში შეგვიძლია დანახარჯების მონაცემების დამატება, ასევე მოგების, რომელიც არის მთლიან შემოსავალსა და მთლიან დანახარჯებს შორის სხვაობა.

| რაოდენობა Q | ერთეულის ფასი P | შემოსავალი \$000 | ზღვრული შემოსავალი \$000 | დანახარჯები \$000 | მოგება \$000 |
|-------------|-----------------|------------------|--------------------------|-------------------|--------------|
| 0 | 180 | 0 | | 50 | -50 |
| 1,000 | 160 | 160 | 160 | 115 | 45 |
| 2,000 | 140 | 280 | 120 | 180 | 100 |
| 3,000 | 120 | 360 | 80 | 245 | 115 |
| 4,000 | 100 | 400 | 40 | 310 | 90 |
| 5,000 | 80 | 400 | 0 | 375 | 25 |
| 6,000 | 60 | 360 | -40 | 440 | -80 |
| 7,000 | 40 | 280 | -80 | 505 | -225 |
| 8,000 | 20 | 160 | -120 | 570 | -410 |
| 9,000 | 0 | 0 | -160 | 635 | -635 |

თქვენ ხედავთ, რომ მოგება მაშინ არის მაქსიმალური, როდესაც გასაყიდი ფასი \$120-ია, გაყიდვები - \$3,000, შემოსავალი – \$360,000 და დანახარჯები – \$245,000.

ცხრილის ამგვარად გამოყენებას და მოგების გამოთვლას თითოეული გაყიდული რაოდენობისთვის უწოდებენ ბულატრის მიდგომას. ეკონომისტების (ეკონომიკური თეორიის) მიდგომა განსხვავებულია.

ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ ვინაიდან თითოეული დამატებითი ერთეული მაშინ იყიდება, თუ დამატებითი შემოსავალი (ზღვრული შემოსავალი (MR) აღემატება გაწეულ დამატებით დანახარჯებს (ზღვრული დანახარჯები (MC)), მაშინ აზრი აქვს ამ საქონლის წარმოებას. თუმცა, თუ ოდესმე აღმოჩნდება, რომ ზღვრული დანახარჯები > ზღვრულ შემოსავალზე, ეს ნიშნავს, რომ დამატებითი ერთეულის გაყიდვა ზარალს გამოიწვევს, რადგან დამატებითი დანახარჯები უფრო მეტია, ვიდრე დამატებითი შემოსავალი.

სანამ ზღვრული დანახარჯები > ზღვრულ შემოსავალზე, აწარმოვეთ და გაყიდეთ ეს პროდუქტი;

თუ ზღვრული დანახარჯები < ზღვრულ შემოსავალზე, არ აწარმოოთ და არ გაყიდოთ ეს პროდუქტი.

ამგვარად, მოგება მაქსიმალურია მაშინ, როდესაც:

MR = MC

შემდეგ ცხრილში დამატებულია ზღვრული დანახარჯების მონაცემებიც:

| რაოდენობა Q | ერთეულის ფასი P | შემოსავალი \$000 | ზღვრული შემოსავალი \$000 | დანახარჯები \$000 | მოგება \$000 | ზღვრული დანახარჯი |
|--------------|-----------------|------------------|--------------------------|-------------------|--------------|-------------------|
| 0 | 180 | 0 | | 50 | -50 | 50 |
| 1,000 | 160 | 160 | 160 | 115 | 45 | 65 |
| 2,000 | 140 | 280 | 120 | 180 | 100 | 65 |
| 3,000 | 120 | 360 | 80 | 245 | 115 | 65 |
| 4,000 | 100 | 400 | 40 | 310 | 90 | 65 |
| 5,000 | 80 | 400 | 0 | 375 | 25 | 65 |
| 6,000 | 60 | 360 | -40 | 440 | -80 | 65 |
| 7,000 | 40 | 280 | -80 | 505 | -225 | 65 |
| 8,000 | 20 | 160 | -120 | 570 | -410 | 65 |
| 9,000 | 0 | 0 | -160 | 635 | -635 | 65 |

თქვენ ხედავთ, რომ ზღვრული დანახარჯები მუდმივია და შეადგენს \$65,000-ს ყოველ დამატებით 1,000 ერთეულზე და ეს არის უბრალოდ \$65-ის ოდენობის დამატებითი ცვლადი დანახარჯები ერთეულზე.

1,000 ერთეულიდან 2,000 ერთეულზე გადასვლა წარმოქმნის \$120,000 დამატებით შემოსავალს, \$65,000-ის ოდენობის დამატებითი დანახარჯების პირობებში. ასე რომ, აზრი აქვს წარმოებას.

2,000 ერთეულიდან 3,000 ერთეულზე გადასვლა წარმოქმნის \$80,000 დამატებით შემოსავალს \$65,000-ის ოდენობის დამატებითი დანახარჯების პირობებში. ასე რომ, აზრი აქვს წარმოებას.

3000 ერთეულიდან 4,000 ერთეულზე გადასვლა წარმოქმნის \$40,000 დამატებით შემოსავალს, \$65,000-ის ოდენობის დამატებითი დანახარჯების პირობებში. მაშასადამე, აზრი არ აქვს წარმოებას ამ დონეზე და არც წარმოებული ერთეულების რაოდენობის კიდევ უფრო გაზრდას.

როდესაც $MR > MC$, გაყიდეთ მეტი. როდესაც $MR < MC$ გაყიდეთ ნაკლები. მოგება მაქსიმალურია, როდესაც $MC = MR$.

ამგვარად, როგორც ადრე, როდესაც უშუალოდ მოგებას ვიხილავდით, ჩვენ დავადგინეთ, რომ 3,000 ერთეულის რეალიზაცია განხორციელდება მაშინ, როდესაც მოგება არის მაქსიმალური და ამ რაოდენობის ერთეულების რეალიზაციას კომპანია მაშინ მიიღებს, თუ პროდუქტის ერთეულის გასაყიდ ფასს დაადგენდა \$120-ს.

ალგებრული მიდგომა

ჩვენ მიერ გამოყენებული „ცხრილური“ მიდგომის პრობლემა ის არის, რომ მონაცემები განიხილებოდა მხოლოდ 1,000 ერთეულის მატების ინტერვალით. ამან საშუალება მოგვცა დაგვესკვნა, რომ მოგება მაქსიმალური იყო მაშინ, როდესაც გაიყიდა 3,000 ერთეული. მაგრამ ხომ შეიძლება მოგება უკეთესი იყოს, თუ, ვთქვათ, გაიყიდება 2,900, 3,010 ან 3,100 ერთეული? ჩვენ ცხრილში არ გვაქვს ისეთი ინფორმაცია, რომელიც რეკომენდაციების დაზუსტების საშუალებას მოგვცემდა.

უფრო მეტი სიზუსტის მისაღწევად, იმის მაგივრად, რომ ცხრილებს დავეყრდნოთ, რაოდენობასა და ფასს შორის ურთიერთკავშირი უნდა გამოისახოს განტოლებით. განტოლებას ასეთი სახე ექნება:

$$P = a - bQ,$$

სადაც P = ერთეულის ფასი და

Q = გაყიდული ერთეულების რაოდენობა.

a და b არის მუდმივი სიდიდეები, რომლებიც უნდა მოიძებნოს მოთხოვნის მრუდის მონაცემების გამოყენებით. ეს ფორმულა შეტანილი იქნება „საქმიანობის შედეგების მართვის“ მოდულის საგამოცდო მასალაზე დართულ ფორმულებში.

ცხრილიდან ვიცით, რომ (ვთქვათ) როდესაც ერთეულის ფასი \$140-ია, 2,000 ერთეულია მოთხოვნილი.

მაშასადამე:

$$140 = a - b \times 2000.$$

თუ გადავალთ გაყიდული ერთეულების რაოდენობის წინა დონეზე, $Q = 1,000$, $P = 160$.

მაშასადამე: $160 = a - b \times 1,000$

შემდეგ a -ს და b -ს მნიშვნელობებს ვპოულობთ განტოლებიდან. ორი განტოლების გამოკლებით მივიღებთ:

$$-20 = -b \times 1,000$$

ამგვარად, $b = 20/1,000 = 0.02$.

ჩავსვათ ეს მონაცემები რომელიმე სანყის განტოლებაში, რათა ვიპოვოთ „ a “-ს მნიშვნელობა. მაშასადამე, პირველი განტოლება მიიღებს ასეთ სახეს:

$$140 = a - 0.02 \times 2,000 = a - 40;$$

$$a = 180.$$

ამგვარად, მოთხოვნის მრუდი არის:

$$P = 180 - 0.02Q$$

მიაქციეთ ყურადღება, რომ ფორმულა იძლევა a -ს და b -ს მნიშვნელობების მარტივად პოვნის საშუალებას, თუ გვაქვს აუცილებელი ინფორმაცია:

a = ფასი, როდესაც $Q = 0$. ცხრილიდან ეს არის 180.

b = ფასის ცვლილება/რაოდენობის ცვლილება. ცხრილში გაყიდული ერთეულების რაოდენობის მატების თითოეულ ეტაპზე ფასი იცვლება 20-ით, ხოლო რაოდენობა 1,000-ით, ამიტომ

$$b = 20/1000 = 0.02.$$

ფორმულა ანალოგიურად გვიჩვენებს, როგორ უნდა გარდავქმნათ მოთხოვნის მრუდის განტოლება ზღვრული შემოსავლის გამოსათვლელ ფორმულად.

მოთხოვნის მრუდი: $P = a - bQ$; $P = 180 - 0.02Q$;

$$MR = a - 2bQ; \quad MR = 180 - 0.04Q.$$

ჩვენ ვიცით, რომ პროდუქტის ერთეულის ზღვრული დანახარჯი შეადგენს \$65-ს, ანუ პროდუქტის ერთეულის ცვლადი დანახარჯი. მოგება მაქსიმალურია მაშინ, როდესაც:

$$MC = MR$$

$$65 = 180 - 0.04Q$$

ვიპოვოთ Q:

$$-115 = -0.04Q$$

$$115 = 0.04Q$$

$$Q = 115/0.04 = 2,875$$

როგორც ხედავთ, ეს ციფრი სულ ცოტათია ნაკლები, ვიდრე ჩვენი ადრინდელი პასუხი – 3,000. ასე მოხდა, რომ თუ წარმოებული ერთეულების რაოდენობა იზრდება 2,000-დან 3,000-მდე, აზრი ექნება, რომ ვანარმოოთ პირველი დამატებითი ერთეულები (2,001, 2,002... და ა.შ.), მაგრამ აზრი არ ექნება/არ ეღირება ბოლო ერთეულების წარმოება (2,997, 2,998, 2,999, 3,000). თუმცა, ყველა ეს დეტალი იკარგება და საბოლოო ჯამში, ღირს, რომ გადავიდეთ 2,000-დან 3,000 ერთეულის წარმოებაზე. 2,000-დან 2,875-ზე გადასვლა კიდევ უფრო უკეთესია.

ახლა ეს რაოდენობა ჩავსვით მოთხოვნის მრუდის საწყის განტოლებაში, რათა გამოვითვლოთ სარეალიზაციო ფასი.

$$P = 180 - (0.02 \times 2,875)$$

$$P = 122.5$$

მაშასადამე, როგორც ალგებრული მიდგომის გამოყენების შედეგად გამოვლინდა, მოგება მაქსიმალური მაშინ იქნება, როდესაც გაიყიდება 2,750 ერთეული და რეალიზაციის ასეთ დონეს მივალწევთ იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტის ერთეულის ფასი იქნება \$122.50.

ამ სტატიის მეორე ნაწილში განვიხილავთ ფასდადგენის გადანყვეტილებებთან დაკავშირებულ პრაქტიკულ ასპექტებს.

*სტატია მოამზადა „საქმიანობის შედეგების მართვის“
მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა.*

სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ბიოლოგიური აქტივების აღრიცხვა

მოდული „ფინანსური ანგარიშგება“

ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი ბასს 41 – „*სოფლის მეურნეობა*“ - პირველი სტანდარტია, რომელიც კონკრეტულად არეგულირებს ამ ნედლეულის სექტორს.

ბასს 41-მა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ბულალტრულ აღრიცხვაში შემოიღო სამართლიანი ღირებულების მოდელი. ამაში მდგომარეობს თვითღირებულებით აღრიცხვის ტრადიციული მოდელისგან ძირითადი გადახვევა, რომელიც ფართოდ გამოიყენება ნედლეულის დარგებში.

ბასს 41 გავლენას ახდენს ისეთი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე, სადაც შემოსავლის მომტანი ბიოლოგიური აქტივები ცოცხალი ცხოველები ან ცოცხალი მცენარეებია და ეხება ამ აქტივებიდან მიღებულ პროდუქტებს. მაგალითად, თუ ბიოლოგიური აქტივი არის მწველი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, სოფლის მეურნეობის პროდუქტი არის რძე. ანალოგიურად შეგვიძლია გავმიჯნოთ ხეები ტყის პლანტაციებში და მოჭრილი ხეები, ან შაქრის ლერწმის პლანტაციები და მოჭრილი ლერწამი/ლერწმის ნაყოფი. ბიოლოგიური აქტივები არ მოიცავს ნაყოფის მომცემ კულტურებს.

ბასს 41-ში მოცემული განმარტების თანახმად, ***ნაყოფის მომცემი კულტურა არის ცოცხალი მცენარე***:

- ა) რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, ან მისაღებად (მისაწოდებლად);
- ბ) მოსალოდნელია, რომ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოიწვეს ნაყოფს; და
- გ) მცირეა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით მისი გაყიდვის ალბათობა, ნარჩენების სახით თანმდევი გაყიდვების გარდა.

ნაყოფის მომცემ კულტურებს განეკუთვნება ცოცხალი ხეები - ხეები ტყის პლანტაციაში, ბამბის ბუჩქები, ჩაის ბუჩქები, შაქრის ლერწამი, ვაზი, მცენარე თამბაქო, ხეხილი, კაუჩუკის ხეები და ზეთის პალმა.

ეს კულტურები აღრიცხება ბასს 16-ის შესაბამისად – თვითღირებულებით, ნაყოფის მიღების მომენტამდე, ხოლო შემდეგ დაერიცხება ცვთა და ამორტიზაცია. ასევე შესაძლებელია გადაფასების მოდელის გამოყენება, ხოლო ამ კულტურებიდან მიღებული პროდუქცია აღრიცხება ბასს 41-ისა და ბასს 2-ის შესაბამისად. ამის საპირისპიროდ, ერთწლიანი კულტურების შემთხვევაში, როგორცაა ხორბალი და სიმინდი, როდესაც მოყვანილი მცენარის სასარგებლო მომსახურების ვადა, როგორც წესი, არ სცილდება მომდევნო წლის საანგარიშგებო თარიღის ფარგლებს, სამართლიანი ღირებულების მოდელის დანერგვა მსგავს გავლენას არ ახდენს.

სტანდარტის მოქმედების სფერო

ბასს 41 გამოიყენება:

1. ბიოლოგიური აქტივების მიმართ (ცოცხალი მცენარეები ან ცხოველები, მაგ., ხეები ტყის პლანტაციაში ან ბაღში, კულტურული მცენარეები, ცხვარი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი), რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მართვასთან (მაგ., მეცხოველეობა, სატყეო მეურნეობა, ერთწლიანი ან მრავალწ-

ლიანი კულტურები, თევზის მოშენება). **სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა** არის საწარმოს მიერ ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციისა და ნაყოფის მიღების მართვა (ზრდის, დეგენერაციის, წარმოებისა და გამრავლების მეშვეობით, რაც იწვევს ბიოლოგიური აქტივის ხარისხობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებებს) გაყოფის მიზნით, ან სოფლის მეურნეობის პროდუქციად ან დამატებით ბიოლოგიურ აქტივებად გარდაქმნის მიზნით.

2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიმართ ნაყოფის მიღების მომენტში;
3. სასოფლო-სამეურნეო აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტების მიმართ.

ბასს 41 არ გამოიყენება:

1. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული მიწის მიმართ/მიწა, სადაც ბიოლოგიური აქტივები იზრდება, რეგენერაციას ან/და დეგენერაციას განიცდის (გამოიყენება ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“, ფასს 16 – „იჭარა“ და ბასს 40 – „საინვესტიციო ქონება“, შესაბამისად)
2. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ნაყოფის მომცემი კულტურების მიმართ (იხ. ბასს 16). თუმცა, ეს სტანდარტი გამოიყენება ნაყოფის მომცემი კულტურების ნაყოფთან მიმართებით;
3. პროდუქციის მიმართ, რომელიც მიიღება მოსავლის აღების შემდეგ ნაყოფის გადამუშავების შედეგად, მაგალითად, ძაფი/ხალიჩა, გადამუშავებული ხორცი, როგორცაა დამუშავებული ლორი, ჩაი, ღვინო, რეზინის ნაწარმი, ძაფი/ტანსაცმელი (გამოიყენება ბასს 2 – „მარაგები“);
4. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული არამატერიალური აქტივების მიმართ, როგორცაა ლიცენზიები და უფლებები (გამოიყენება ბასს 38 – „არამატერიალური აქტივები“);
5. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, რომელიც არ იმართება, როგორცაა თევზჭერა ოკეანეში;
6. სასარგებლო წიაღისეულის, ნავთობის, ბუნებრივი აირის და მსგავსი არაგანახლებადი რესურსების მიმართ;
7. ნაყოფის მომცემ კულტურებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტების მიმართ (იხ. ბასს 20 – „სახელმწიფო გრანტების ბულალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“).

შემდეგი ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები არ გამოიყენება ისეთ ბიოლოგიურ აქტივებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მართვასთან, ვინაიდან ამგვარი აქტივების აღრიცხვა რეგულირდება ცალკე, ბასს 41-ის შესაბამისად.

- ბასს 2 - სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოსავლის აღებამდე/ნაყოფის მიღებამდე;
- ბასს 16, ფასს 16 და ბასს 40;
- ფასს 15 – „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ – ამონაგებთან მიმართებით, რომელიც წარმოიქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების თავდაპირველი აღიარების შედეგად, ასევე ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების თავდაპირველი აღიარებისა და ცვლილების შედეგად;

- ბასს 20 – „სახელმწიფო გრანტების აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“;
- ბასს 36 – „აქტივების გაუფასურება“, როდესაც ბიოლოგიური აქტივები ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

ბასს 41-ში განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები:

- როდის უნდა აღიარდეს ბიოლოგიური აქტივი ან სოფლის მეურნეობის პროდუქცია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში?
- რა ღირებულებით უნდა შეფასდეს აღიარებული ბიოლოგიური აქტივი ან სოფლის მეურნეობის პროდუქცია?
- როგორ უნდა აისახოს აღიარებული ბიოლოგიური აქტივის ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ღირებულებების განსხვავება ორ საანგარიშგებო თარიღს შორის?

აღიარება

ბასს 41 ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებისთვის ადგენს ტესტებს/კრიტერიუმებს, კერძოდ, ასეთი სახით:

- კონტროლი: საწარმოს, წარსული მოვლენების შედეგად, უნდა ჰქონდეს საკუთრების უფლება ან საკუთრების უფლების ანალოგიური კონტროლი;
- სარგებელი: მოსალოდნელი უნდა იყოს აქტივის საკუთრების ან კონტროლით განპირობებული ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა;
- შეფასება: შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის თვითღირებულების ან სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება.

შეფასება

ბიოლოგიური აქტივები უნდა შეფასდეს თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულებით, გაყიდვის სავარაუდო (შეფასებული) დანახარჯების გამოკლებით.

მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი უნდა შეფასდეს მოსავლის ალების დროს (ნაყოფის მიღების მომენტში) განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით, გაყიდვისთვის საჭირო სავარაუდო/შეფასებული დანახარჯების გამოკლებით. მოსავლის ალების (ნაყოფის მიღების) მომენტი წარმოადგენს ბასს 41-ის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო აქტივების აღრიცხვიდან ბასს 2-ის შესაბამისად აღრიცხვაზე გადასვლის მომენტს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს „საწყის ღირებულებას“ ბასს 2-ის მიხედვით აღრიცხვის მიზნებისთვის.

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები წარმოადგენს დამატებით დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია აქტივის გადაცემასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგებიდან გადასახადის ხარჯის გამოკლებით და მოიცავს ბროკერებისა და დილერების საკომისიოს, მარეგულირებლებისა და სასაქონლო ბირჟების მიერ დაწესებულ მოსაკრებლებს, ასევე ქონების გადაცემის გადასახადს და საიმპორტო საბაჟო გადასახადს. არ მოიცავს ტრანსპორტირების დანახარჯებსა და სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია აქტივების ბაზარზე გასატანად (ეს დანახარჯები მხედველობაში მიიღება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას).

ბასს 41 შეიცავს უარყოფად ვარაუდს იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია ყველა ბიოლოგიური აქტივისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ამ ვარაუდის გაბათილება შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ისეთი ბიოლოგიური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას, რომლისთვისაც:

- არ არსებობს კოტირებული საბაზრო ფასები; და
- სამართლიანი ღირებულების ალტერნატიული შეფასებები უდავოდ არ არის საიმედო.

როდესაც უარყოფილია ვარაუდი იმის თაობაზე, რომ სამართლიანი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა შესაძლებელია, აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ბარალის გამოკლებით მანამ, სანამ შესაძლებელი არ გახდება სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ბასს 41 შეიცავს დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ასეთ სიტუაციაში გასამჯღავნებელ ინფორმაციას.

სამართლიანი ღირებულების შეფასება განისაზღვრება ფასს 13-ის - „სამართლიანი ღირებულების შეფასება“ - მოთხოვნების გამოყენებით. ბასს 41-ში მოცემული განმარტების თანახმად, სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის (ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქტის) გაყიდვიდან შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

ბასს 41-ში აღიარებულია, რომ ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქტის სამართლიანი ღირებულების შეფასება შესაძლოა გაადვილდეს ბიოლოგიური აქტივების ან სოფლის მეურნეობის პროდუქტის დაჯგუფებით მნიშვნელოვანი მახასიათებლების მიხედვით, მაგალითად ასაკის ან ხარისხის მიხედვით. სანარმო პროდუქტის მახასიათებლებს აირჩევს იმ მახასიათებლებიდან, რომლებიც შესაბამის ბაზარზე გამოიყენება ფასის განსაზღვრის საფუძვლად. მაგალითად, პირუტყვი შეიძლება დაჯგუფდეს ჯიშის, ასაკის, წონისა და პროდუქტიულობის მიხედვით, ანუ იმგვარად, როგორც მათ შეაფასებენ ბაზარზე ბაზრის მონაწილეები.

კონკრეტულად, სტანდარტი მოითხოვს, რომ სამართლიანი ღირებულება არ განისაზღვროს სამომავლო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მონაცემების მიხედვით. სახელშეკრულებო ფასები შესაძლოა სულაც არ იყოს რელევანტური სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რადგან სამართლიანი ღირებულება ასახავს ბაზრის ამჟამინდელ მდგომარეობას, რა პირობებშიც მსურველი მყიდველი და გამყიდველი გააფორმებდნენ ყიდვა-გაყიდვის გარიგებას. აქედან გამომდინარე, რაიმე ხელშეკრულების არსებობა არ იწვევს ბიოლოგიური აქტივის ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის სამართლიანი ღირებულების კორექტირების საჭიროებას.

სტანდარტში ასევე განხილულია სიტუაცია, როდესაც ბიოლოგიური აქტივები ფიზიკურად არის შიმაგრებული მიწაზე (მაგალითად, ხეები ტყის მასივებში). შეიძლება არ არსებობდეს ასეთი ბიოლოგიური აქტივისთვის ცალკე ბაზარი მიწის ღირებულების გარეშე, მაგრამ აქტიური ბაზარი შეიძლება არსებობდეს აქტივების გაერთიანებული ურთიერთდაკავშირებული ნაკრებისთვის, ე.ი. ბიოლოგიური აქტივები, დაუმუშავებელი მიწა და გაუმჯობესებული მიწა. სტანდარტი ასეთი შემთხვევისთვის, ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის გვთავაზობს ასეთ მიდგომას: უნდა განისაზღვროს ზემოაღნიშნული აქტივების გაერთიანებული ნაკრების სამართლიანი ღირებულება და შემდეგ გამოაკლდეს დაუმუშავებელი მიწის ან/და გაუმჯობესებული მიწის სამართლიანი ღირებულება. სტანდარტში ასევე აღიარებულია, რომ თვითღირებულება შესაძლოა ზოგჯერ უახლოვდებოდეს სამართლიან ღირებულებას, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც თავ-

დაპირველი ხარჯების განვიდან (მაგალითად, უშუალოდ საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების წინ დარგული ნერგები, ან ახლად შექმნილი შინაური პირუტყვი) მცირედენ ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას ჰქონდა ადგილი, ვინაიდან ღირებულების საწყისი ზრდა (ახლად შექმნილი პირუტყვი) ან ბიოლოგიური ტრანსფორმაციის გავლენა ფასზე არ არის არსებითი (ხეების საწყისი ზრდის ეტაპზე ტყის პლანტაციაში).

მაგალითი

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ შემთხვევაში, როდესაც საბაზრო ფასები ან ღირებულებები შეიძლება ხელმისაწვდომი არ იყოს ცალკეული ბიოლოგიური აქტივისთვის მის ამჟამინდელ მდგომარეობაში:

- 20X1 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ტყის პლანტაცია შედგება 100,000 ჰიმალაიური ფიჭვის ხისგან, რომლებიც დარგეს 10 წლის წინ. ჰიმალაიური ფიჭვის სიმწიფის მდგომარეობის მიღწევას 40 წელი სჭირდება და საბოლოოდ ფიჭვი გადამუშავდება სახლების სამშენებლო ან ავეჯის წარმოების მასალად. აქტიური ბაზრის კოტირებული ფასის საფუძველზე დადგენილი სამართლიანი ღირებულება აქვს მხოლოდ ტყის პლანტაციას, რომელიც აერთიანებს მიწის ნაკვეთს, მიწის გაუმჯობესებას და ხეებს.

| | 20X2 წლის 31 დეკემბერი \$'000 | 20X1 წლის 31 დეკემბერი \$'000 |
|--|-------------------------------------|-------------------------------------|
| ტყის პლანტაციის სამართლიანი ღირებულება | 17,100 | 16,500 |
| მიწის ნაკვეთის სამართლიანი ღირებულება | 12,000 | 12,200 |
| მიწის გაუმჯობესების სამართლიანი ღირებულება | <u>600</u> | <u>600</u> |
| ხეები - სამართლიანი ღირებულება (ბიოლოგიური აქტივი) | 4,500 | 3,700 |

მოგება და ზარალი

თავდაპირველი აღიარებისას ბიოლოგიური აქტივის გაყიდვის სავარაუდო (შეფასებული) დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც მოგება ან ზარალი. თავდაპირველი აღიარებისას ზარალი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, როდესაც გაყიდვის სავარაუდო დანახარჯები აღემატება არსებულ მდგომარეობაში აქტივის სამართლიან ღირებულებას, ან მოგებას თავდაპირველი აღიარებისას, მაგალითად, როდესაც იბადება შინაური პირუტყვი.

საანგარიშგებო თარიღებს შორის ბიოლოგიური აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებაში დაფიქსირებული ცვლილება აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც მოგება ან ზარალი.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქტის თავდაპირველი აღიარებისას გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით, აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც წარმოიქმნება.

სატყეო მეურნეობის შესახებ ზემოთ მოყვანილ მაგალითში ტყის პლანტაციის სამართლიან ღირებულებებს შორის განსხვავება ორ საანგარიშგებო თარიღს შორის შეადგენს \$800,000-ს (\$4,500 – \$3,700), რომელიც აღიარდება როგორც მოგება, მოგებისა და ბარალის ანგარიშგებაში (მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არის რეალიზებული).

\$800,000 კუმულაციური ზრდა განპირობებულია ორი ფაქტორით:

1. საბაზრო ფასის ცვლილებების გავლენა; და
2. ხეების ფიზიკური ცვლილება (ზრდა) ტყის პლანტაციაში.

ბასს 41 მოითხოვს კუმულაციური მოგების ან ბარალის გამჟღავნებას, რომელიც წარმოიქმნება მიმდინარე პერიოდში ბიოლოგიური აქტივებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავდაპირველი აღიარებისას, ასევე ბიოლოგიური აქტივების გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად. ვინაიდან ყველა გარემოებაში შესაძლებელია მიზანშეწონილი არ იყოს მოგების ან ბარალის მთლიანი თანხის წარდგენა მისი განსხვავებული ხასიათის შესაბამისად, სტანდარტი არ მოითხოვს ანგარიშგებაში მოგების ან ბარალის დაყოფას შემადგენელ ელემენტებად (ანუ მოგების ან/და ბარალის ანალიზს ფასების ცვლილებისა და ფიზიკური ფაქტორების შესაბამისად), მაგრამ საწარმოებს ამგვარი მონაცემების გამჟღავნების რეკომენდაციას აძლევს, რადგან ეს ინფორმაცია სასარგებლოა საწარმოს მიმდინარე პერიოდის შედეგებისა და სამომავლო პერსპექტივების შესაფასებლად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოების ციკლი ერთ წელს აღემატება. თუმცა, ამგვარი ინფორმაცია, როგორც წესი, ნაკლებად სასარგებლოა მაშინ, როდესაც წარმოების ციკლი ერთ წელზე ნაკლებია (მაგალითად, წიწილების გამოზრდა ან მარცვლეული კულტურის მოყვანა).

წარდგენა

ბიოლოგიური აქტივები და სოფლის მეურნეობის პროდუქცია ცალ-ცალკე პოზიციების სახით უნდა იყოს წარდგენილი შემდეგი სათაურებით:

გრძელვადიანი აქტივები

- ძირითადი საშუალებები – მოიცავს ნაყოფის მომცემ კულტურებს;
- ბიოლოგიური აქტივები - მოიცავს სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტს, რომლის მოსავალი მიიღება საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, შინაურ პირუტყვს, რომელიც შენარჩუნებული იქნება 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში და ხეებს, რომლებიც გაშენებულია ხის მასალად გამოსაყენებლად.

მოკლევადიანი აქტივები

- ბიოლოგიური აქტივები – მოიცავს პროდუქციას, რომლის მოსავალი მიიღება საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში, 12 თვის განმავლობაში დასაკლავ პირუტყვს და ერთწლიან კულტურებს, როგორცაა ხორბალი, სიმინდი.
- მარაგი – მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისგან წარმოებულ მარაგს, როგორცაა, მაგალითად ჩაის ფოთლებისგან დამზადებული გასაყიდი ჩაი.

განმარტებითი შენიშვნები

ბასს 41 მოითხოვს საკმაოდ დეტალური ინფორმაციის გამჟღავნებას ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, მათ შორის:

- მიმდინარე პერიოდის აგრეგირებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნა:
 - ბიოლოგიური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას;
 - სოფლის მეურნეობის პროდუქციის თავდაპირველი აღიარებისას;
 - ბიოლოგიური აქტივის გაყიდვის სავარაუდო (შეფასებული) დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად;
- ბიოლოგიური აქტივების თითოეულ ჯგუფთან დაკავშირებული საქმიანობის ხასიათის აღწერა;
- ფიზიკური რაოდენობის არაფინანსური მაჩვენებლები ან შეფასებები პერიოდის განმავლობაში გამოშვებული სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და პერიოდის ბოლოს არსებული სანარმოს ბიოლოგიური აქტივების თითოეული ჯგუფის;
- იმ ბიოლოგიური აქტივების არსებობა და საბალანსო ღირებულება, რომელზეც ქონებრივი უფლება შეზღუდულია და ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულება;
- ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულების ცვლილებების შეჯერება, რომელიც დაფიქსირდა მიმდინარე პერიოდის დასაწყისიდან დასრულებამდე პერიოდში. შეჯერება უნდა მოიცავდეს თანხებს, რომლებიც ასახავს გაყიდვისთვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების, შესყიდვებისა და გაყიდვების ცვლილებით გამონვეულ შემოსულობას ან ზარალს, ასევე შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვებთან ან ბიოლოგიურ აქტივებთან, რომლებიც ფასს 5-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული (ან ჩართულია გამსვლელ ჯგუფში, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად გამიზნული) და სხვა ცვლილებებს.

ისეთი ბიოლოგიური აქტივების შესახებ, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, სტანდარტი დამატებით მოითხოვს შემდეგი ინფორმაციის გამჟღავნებას:

- ამგვარი ბიოლოგიური აქტივების აღწერა;
- იმ მიზეზების ახსნა, რატომ არ არის შესაძლებელი სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება;
- თუ შესაძლებელია, წინასწარი შეფასებების დიაპაზონი, რომლის ფარგლებშიც სამართლიანი ღირებულების მოხვედრის დიდი ალბათობაა;
- გამოყენებული ცვეთის მეთოდი;
- სასარგებლო მომსახურების ვადა ან გამოყენებული ცვეთის განაკვეთები; და
- მთლიანი საბალანსო ღირებულება და დაგროვილი ცვეთის ოდენობა (რომელიც გაერთიანებულია დაგროვილ გაუფასურების ზარალთან) პერიოდის დასაწყისისთვის და ბოლოს.

გარდა ამისა, თუ შემდგომში შესაძლებელი გახდება იმ ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება, რომლებიც წინათ შეფასებული იყო თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, მაშინ სანარმომ უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ბიოლოგიური აქტივების აღწერა;
- ბ) განმარტება, თუ რატომ გახდა სამართლიანი ღირებულება საიმედოდ შეფასება შესაძლებელი; და
- გ) ცვლილების შედეგები.

დასასრულ, სტანდარტით ასევე მოითხოვება ინფორმაციის გამჟღავნება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტების შესახებ.

სახელმწიფო გრანტები - აქტივები, რომლებიც შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით

ისეთ ბიოლოგიურ აქტივებთან დაკავშირებული უპირობო სახელმწიფო გრანტი, რომელიც შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით, უნდა აღიარდეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც სახელმწიფო გრანტი დაექვემდებარება მიღებას.

თუ სახელმწიფო გრანტი გაცემულია გარკვეული პირობებით, მათ შორის, როდესაც გრანტის პირობები მოითხოვს, რომ სანარმომ არ უნდა განახორციელოს ესა თუ ის კონკრეტულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, სანარმომ სახელმწიფო გრანტი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში უნდა აღიაროს, როდესაც ეს პირობები დაკმაყოფილდება. ასეთი გრანტების მაგალითია ევროკავშირის გრანტების სქემით გათვალისწინებული გრანტები, რომელიც ეხება სახნავი მიწების გამოუყენებლობას.

სახელმწიფო გრანტები - აქტივები, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით

გამოიყენება ბასს 20 - „სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“.

თავდაპირველი სტატიის განახლებული ვერსია მოამზადა „ფინანსური ანგარიშგების“ მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა

რეკომენდებული მიდგომა

„საწარმოს სტრატეგიული ანგარიშების“ მოდულის გამოცდის „ბ“ განყოფილებისთვის

ამ სტატიის მიზანია, კანდიდატებს მივანდოთ ინფორმაცია „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშების“ მოდულის საგამოცდო კომისიის მოსაზრებები საგამოცდო მასალის „ბ“ განყოფილების შესახებ.

კერძოდ, სტატიაში განვიხილავთ საწარმოს სტრატეგიული ანგარიშების მოდულის გამოცდის მე-3 და მე-4 კითხვებს და შემდეგ შევეხებით იმ კონკრეტულ უნარებსა და თვისებებს, რომელსაც უნდა ფლობდნენ ბულალტრები სამუშაო ადგილზე. ეს უნარები სცილდება ტექნიკურ ცოდნის ფარგლებს და მოიცავს ისეთ თვისებებს, როგორცაა პროფესიული სკეპტიციზმი, „ციფრული ხედვის“ გააზრება და რიცხვების სანდოობის უზრუნველყოფა. ეს იმას ნიშნავს, რომ კანდიდატები მთლიანად, მთელი გულისყურით უნდა ჩაერთონ მასალაში, რათა გამოიმკდელს აჩვენონ, როგორ იმსჯელებს და რა დასკვნები გამოიტანეს ანგარიშგებასთან დაკავშირებულ რთულ სცენარებში.

მნიშვნელოვანია, რომ ACCA-ის საკვალიფიკაციო პროგრამაში ამოწმებენ კანდიდატების პიროვნებათაშორისი ურთიერთობის, კრიტიკული აზროვნებისა და კონკრეტულ სიტუაციებთან ადაპტირების უნარებს და, მაშასადამე, შეგვიძლია დავინახოთ, რომ კვალიფიკაციის ბუნება იცვლება. ეს საკვებით მიზანშეწონილია, რადგან იცვლება სამუშაო ადგილზე ბულალტრების ფუნქციებიც/როლებიც, მონაცემთა ანალიზის სფეროში ახალი შესაძლებლობების საპასუხოდ და ბულალტრებს ეძლევათ შესაძლებლობა, უფრო სტრატეგიული, მომავალზე ორიენტირებული როლი ითამაშონ ორგანიზაციებში. „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშების“ მოდულის პროგრამის შესწავლა სტუდენტებს ამგვარი აუცილებელი უნარების განვითარების საშუალებას მისცემს.

მე-3 კითხვა

ეს კითხვა დაფუძნებული იქნება თანამედროვე ბიზნესსცენარზე და კანდიდატებს მოეთხოვებათ ბულალტრული აღრიცხვის სტანდარტების გამოყენება ამ სცენართან მიმართებით.

გემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ ერთ-ერთი ტიპური მაგალითი – 3ა კითხვა 2018 წლის მარტი/ივნისის (P2) „კორპორაციული ანგარიშების“ მოდულის საგამოცდო მასალიდან.

„Medsupply მუშაობს სამედიცინო ტექნიკის მომარაგების/მინოდების დარგში და მისი ფინანსური წელი მთავრდება 2018 წლის 31 მაისს. Medsupply ყიდის ტექნოლოგიას, რომელიც აუცილებელია უაღრესად რთული ოპერაციების ჩასატარებლად. როდესაც საავადმყოფო Medsupply-ისგან ყიდულობს მოწყობილობას, იგი უსასყიდლოდ სთავაზობს ძალიან სპეციალიზებულ ინსტრუმენტებს, რომელიც ქირურგიული პროცესის განუყოფელი ნაწილია.

ინსტრუმენტების იურიდიული საკუთრების უფლება რჩება Medsupply-ს. ინსტრუმენტები Medsupply-ს უბრუნდება უკან ინსტრუმენტების დაზიანების შემთხვევაში ან მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს, რაც ჩვეულებრივ 1-5 წელია. ამ დროს, Medsupply ცვლის მათ ახალი ინსტრუმენტებით, მაგრამ ინარჩუნებს ანაზღაურების უფლებას, თუ ინსტრუმენტები არ დაუბრუნდება. Medsupply-ს ინსტრუმენტები თითქმის

ყოველთვის უბრუნდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. Medsupply ჩამოწმებს მათ, როგორც სამედიცინო ნარჩენებს.

MedSupply-ის დირექტორებს სურთ კონსულტაციის გავლა იმის თაობაზე, როგორ უნდა აღრიცხონ საავადმყოფოებისთვის სესხად გადაცემული ინსტრუმენტები.

(8 ქულა)

პასუხი კანდიდატებისგან მოითხოვდა იმის დემონსტრირებას, თუ როგორ გამოიყენეს მათ პროფესიული განსჯა. ასეთ ვითარებაში, მსჯელობისთვის კარგი ამოსავალი წერტილია ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (საბჭო) ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების (კონცეპტუალური საფუძვლები) პრინციპების გამოყენება. კანდიდატებს უნდა ეხსენებინათ როგორც „შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა“, ისე აქტივის განმარტება, რადგან მნიშვნელოვანია იმის დადგენა, ვის აქვს ამ მოწყობილობის გამოყენების შედეგად წარმოქმნილი, პრაქტიკულად ყველა ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება: მომხმარებელს თუ MedSupply-ს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის დადგენაც, თუ ვინ აკონტროლებს აქტივს და რომელ მხარესთან არის მის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. ამგვარად, პასუხის საწყისი ნაწილი არ საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS®) ტექნიკურ ცოდნას, არამედ მოითხოვს ზოგიერთი ძირითადი კონცეპტუალური პრინციპის გამოყენებას. საკვანძო სიტყვა აქ არის „გამოყენება“, რადგან კანდიდატები ქულებს არ მიიღებდნენ კონცეპტუალური საფუძვლების პრინციპების პირდაპირი ციტირებისთვის, თუ ამ პრინციპებს არ გამოიყენებდნენ სცენართან მიმართებით.

მსჯელობის/განსჯის შემდეგი ეტაპია რომელიმე შესაფერისი ფასს სტანდარტების გამოყენება სცენართან მიმართებით. ამ შემთხვევაში, ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ – იქნება შესაფერისი ფასს სტანდარტი, რომელსაც გამოვიყენებთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების გასაანაწილებლად. თუმცა, კანდიდატები მცირე ქულებს მიიღებდნენ (ან საერთოდ ვერ მიიღებდნენ), თუ ისინი უბრალოდ გადმოწერდნენ/გაიმეორებდნენ ფასს 15-ში გამოყენებულ „5 საფეხურის მეთოდს“. გარდა ამისა, კანდიდატებს ისიც უნდა განეხილათ, ამ სიტუაციას ხომ არ მიესადაგებოდა კიდევ რომელიმე სხვა ფასს სტანდარტებიც.

ამ შემთხვევაში, ინსტრუმენტები წარმოადგენს უბრალოდ რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას და უნდა აისახოს მათი შეძენის ან/და საწარმოო თვითღირებულებით ბასს (IAS®) 2 „მარაგები“ შესაბამისად.

სამოგადოდ, ამ ტიპის კითხვებზე კანდიდატს ერთი ქულა ენიჭება თითო სწორ მოსაზრებაზე. გარდა ამისა, შეფასების სქემაში გათვალისწინებული იქნება ქულათა მაქსიმალური რაოდენობა (შესაძლოა 1 ან 2) ისეთი პასუხისთვის, რომელშიც კანდიდატი უბრალოდ იმეორებს ფასს სტანდარტების წესებს ან კონცეპტუალური საფუძვლების განმარტებებს და მსჯელობისას არ გამოიყენებს მათ სცენართან მიმართებით.

პასუხის საუკეთესო მიდგომაა, კანდიდატმა ჯერ ჩამოაყალიბოს პრინციპი, მომდევნო წინადადებაში კი ეს პრინციპი გამოიყენოს სცენართან მიმართებით. კანდიდატებმა მარტივად არ უნდა მიიჩნიონ, რომ მხოლოდ ერთი ფასს სტანდარტი შეესაბამება მათ პასუხს. პრაქტიკაში იშვიათად არსებობს საკითხის/პრობლემის მარტივი გადაჭრის გზა. შესაბამისად, საგამოცდო სცენარებიც რეალურ სიტუაციებს ასახავს და პრობლემის გადაჭრისთვის საჭიროებს უფრო კომპლექსური მიდგომის გამოყენებას. მე-3 კითხვაში, სავარაუდოდ, 2 სცენარი იქნება.

„საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების“ მოდულის სასწავლო პროგრამა, ცხადია, ვერ უგულებელყოფს და გვერდს ვერ აუვლის ციფრული ტექნოლოგიების მიღწევებს. ამიტომ მე-3 კითხვის ჩამოყალიბება შესაძლებელია ფართო სპექტრის კომპანიების კონტექსტში, რომელიც შეიძლება ეხებოდეს ტრადიციულ მწარმოებელ კომპანიას ან ციფრულ კომპანიას. ტრადიციულ მწარმოებელ კომპანიებთან შედარებით, ციფრული კომპანიების საქმიანობა შეიძლება ოდნავ უფრო უჩვეულო იყოს, როგორცაა, მაგალითად კვლევა და განვითარება, ბრენდები, მომხმარებლებთან ურთიერთობა და სოციალური ურთიერთობები, კომპიუტერიზებული მონაცემები, პროგრამული უზრუნველყოფა და ადამიანური კაპიტალი. თუმცა, ეს არ არის ციფრული კომპანიების საქმიანობის სპექტრის ამომწურავი სია. მაგალითად, ციფრული კომპანიები უფრო მეტად მუშაობენ დიდ მონაცემებთან/მონაცემთა მასივებთან ან კრიპტოვალუტასთან და, შესაბამისად, ისეთ სცენარებში/სიტუაციებში „იმუშავებენ“, რომლისთვისაც არ არსებობს ამჟამად მოქმედი ფასს სტანდარტი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა ბულალტრული აღრიცხვის სწორი მიდგომის განსასაზღვრად.

თუ გამოცდაზე ასეთი კითხვა იქნება გამოტანილი, მაშინ კანდიდატებს ქულები მიენიჭებათ კონცეპტუალურ საფუძვლებში მოცემული პრინციპების ზოგადი განხილვისა და შემდეგ ამ პრინციპების სცენართან მიმართებით გამოყენებისთვის. ქულები არ მიენიჭება მაგალითად ასეთ პასუხს: „არ არსებობს ფასს სტანდარტი, რომელიც ეხება/არეგულირებს ამ საკითხს“. ციფრული კომპანიებისა და მათი საქმიანობის განსაკუთრებული, ცვალებადი, დინამიკური ბუნების გამო, ინვესტორები, სავარაუდოდ, უფრო სხვაგვარად რეაგირებენ ციფრულ კომპანიაზე, რომელსაც ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენები აქვს ბარალი, ვიდრე იმ სამრეწველო კომპანიაზე, რომელსაც ანალოგიური ბარალი აქვს. კანდიდატებმა უნდა გაითვალისწინონ სხვადასხვა ტიპის კომპანიების დაინტერესებული მხარეების განსხვავებული ინტერესები.

მაშასადამე, მე-3 კითხვა შეიძლება ორიენტირებული იყოს ინვესტორის საჭიროებებზე ან შეიძლება გამომცდელი ამონებედეს, რამდენად არიან კანდიდატები ინფორმირებული ბულალტრული აღრიცხვის სფეროს თანამედროვე პრობლემების შესახებ. ინვესტორებზე ფოკუსირებული კითხვები შეიძლება არ შეგხვდეთ ყველა გამოცდაზე, მაგრამ თუ გამოცდაზე გამოტანილი იქნება ამგვარი კითხვა, კანდიდატებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ინვესტორები საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას არ უყურებენ მხოლოდ ანგარიშგებაში წარდგენილ მოგებას და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას. შესაძლებელია, რომ მათი გადაწყვეტილებები დაეყრდნოს კომპანიის ბიზნესმოდელს ან მის არამატერიალურ აქტივებს/ქონებას, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება არ იყოს ასახულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ამჟამად, კომპანიები უფრო მეტ არაფინანსურ ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას, მათ შორის გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ და სოციალურ საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიების განვითარების მიუხედავად, დღესაც ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საინფორმაციო წყაროს ინვესტორებისთვის, რომლებიც კომპანიას აფასებენ, თუმცაღა ფინანსური ანგარიშგება არ არის მათთვის ერთადერთი საინფორმაციო წყარო.

ტიპური 3ბ კითხვა

ძირითად ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება აქტივები, ვალდებულებები, ამონაგები და ხარჯები, რომლებიც განსაზღვრულია ფასს სტანდარტების შესაბამისად. ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ გარკვეულ მოქნილობას ითვალისწინებს ამ თანხების ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენასთან დაკავშირებით. სხვა თანხების წარდგენის საკითხი, რომლებსაც არ ეხება ბასს 1-ის მოთხოვნები, სასწრაფოდ უნდა განიხილოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ.

მოგეთხოვებათ:

იმის გათვალისწინებით, რა ინფორმაციის წარდგენა არის შესაძლებელი ფინანსურ ანგარიშგებაში ბასს 1-ის შესაბამისად, განიხილეთ, რატომ მიიჩნევა ინვესტორების პრობლემად ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი ინფორმაციის მიწოდების საკითხი.

(6 ქულა)

პასუხი

არსებობს ამრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე, ბასს 1-დან ცხადად ჩანს თუ არა, რომ შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ნათლად არასოდეს განუმარტავს, რა მოცულობის დამატებითი ინფორმაციის შეტანა არის ნებადართული ფინანსურ ანგარიშგებაში.

(მიენიჭა 2 ქულა)

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში მოცემულია აქტივების, ვალდებულებების, ამონაგებისა და ხარჯების განმარტებები და მითითებულია, რომ როდესაც რომელიმე მუხლი არ არის არც ერთი მათგანი, ის არ უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს პრინციპი გადმოტანილია ბასს 1-ში, თუმცა კომპანიები ამჟამად თავიანთ ფინანსურ ანგარიშგებებში მნიშვნელოვანი რაოდენობას „სხვა“ ინფორმაციას ასახავენ.

(მიენიჭა 2 ქულა)

ბასს 1-ში არაფერია ნათქვამი ისეთი, რაც გამორიცხავს დამატებითი ანგარიშგებების წარდგენის შესაძლებლობას, მაგრამ საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრებაა, რომ სანარმოებს არ შეუძლიათ დამატებითი ანგარიშგებების წარდგენა ფინანსური ანგარიშგების პაკეტში. ბასს 1 წარდგენის საკითხში უშვებს მოქნილობის შესაძლებლობას, მაგრამ ეს მოქნილობა ეხება მხოლოდ იმ თანხების წარდგენას, რომლებიც განსაზღვრულია ფასს სტანდარტების გამოყენებით.

(მიენიჭა 2 ქულა)

აუცილებელია განისაზღვროს, რისი წარდგენაა მიზანშეწონილი/მისაღები უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში და განმარტებით შენიშვნებში იმ დამატებითი ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც ამჟამად არ მოითხოვება ფასს სტანდარტებით.

(მიენიჭა 1 ქულა)

არსებობს ამრთა სხვადასხვაობა საოპერაციო შემოსავლისა და ასეთი მაჩვენებლის ჩართვასთან დაკავშირებით, რადგან არ არსებობს საერთო განმარტება ან შეთანხმება იმის შესახებ, თუ რა უნდა იყოს (ან არ უნდა იყოს) შეტანილი ასეთ მაჩვენებელში.

(მიენიჭა 1 ქულა)

როგორც ხედავთ, ეს კითხვა ეხება აქტუალურ საკითხს, ახლანდელ პრობლემას, მაგრამ ამავე დროს მიმართულია ინვესტორებზე. გემოაღნიშნულ პასუხში დაფიქსირებულია რამდენიმე განცალკევებული მოსაზრება და სცენარის ცალკეული ნაწილის შეფასებისას კანდიდატი თითოეულ მოსაზრებაზე თითო ქულას მიიღებს.

საერთო ჯამში, ამ პასუხისთვის სულ 8 ქულაა განკუთვნილი, მაგრამ რადგან ეს კითხვა 6 ქულით არის შეფასებული გამომცდელთა გუნდის მიერ, საბოლოოდ, კანდიდატს მიენიჭება მაქსიმალური (6) ქულა.

მე-4 კითხვა

მე-4 კითხვა შეიძლება მოიცავდეს სასწავლო პროგრამის ნებისმიერ ელემენტს, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს იქნება სცენარზე დაფუძნებული და ძირითადად ორიენტირებული იქნება თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე, ინვესტორების პრობლემებზე/საჭიროებებზე ან/და ინტერპრეტაციაზე. მე-4 კითხვის კონტექსტში ინტერპრეტაცია არ არის უბრალოდ კოეფიციენტების სტანდარტული ნაკრების გამოთვლა და მათზე კომენტარების დაწერა, არამედ განსახილველი იქნება ამ ოპერაციების გავლენა საქმიანობის/ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებზე (KPI), რომელიც შეიძლება მოიცავდეს არასტანდარტულ მაჩვენებლებს. კანდიდატებს მოსთხოვენ არა მხოლოდ გემოაღნიშნული გავლენის გამოთვლას, არამედ სთხოვენ იმის განხილვასაც, რა გავლენას იქონიებს ეს ინვესტორების შეხედულებებზე. გარდა ამისა, კანდიდატებს შეიძლება სთხოვონ საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლებიდან კონკრეტულად რომელიმე მაჩვენებლების მნიშვნელობის განხილვა ბუღალტრულ აღრიცხვაში დაშვებული შეცდომის ან უზუსტობის გასწორებამდე ან მის შემდეგ.

ამ მიდგომის საილუსტრაციოდ კარგი მაგალითია 2017 წლის სექტემბერ/დეკემბრის P2 გამოცდის მე-4 კითხვა.

4ა კითხვის მოთხოვნა ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად:

„იმსჯელეთ, რატომ არის ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია კომპანიის კაპიტალის შესახებ. ასევე ახსენით კომპანიის კაპიტალის შესახებ ინვესტორებისთვის ხელმისაწვდომი საჯარო ინფორმაციის არსი.

შენიშვნა: პასუხში მოკლედ უნდა აღწეროთ ინტეგრირებულ ანგარიშებში ასახული ფინანსური კაპიტალის არსი.

გემოაღნიშნული კითხვა არის ამ ტიპის კითხვების საუკეთესო საილუსტრაციო ნიმუში, რადგან ეხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების ელემენტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინვესტორებისთვის და ამავე დროს კითხვის მოთხოვნას აკავშირებს ინტეგრირებულ ანგარიშებთან, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი ნაწილია სასწავლო პროგრამის.

ამ კითხვისთვის განკუთვნილი იყო 8 ქულა და ამიტომ კანდიდატებს ამ ქულების მისაღებად უნდა მოეფიქრებინათ 8 სათანადო მოსაზრება. პასუხის მოდელი საკმაოდ დეტალური იყო, მაგრამ 8 ქულის მოსაპოვებლად, კანდიდატებს შეეძლოთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი 8 მოსაზრების წარმოდგენა (საწარმოს სტრატეგიული ანგარიშების მოდულის გამოცდაზე გამსვლელმა კანდიდატებმა პასუხის ფორმატისთვის არ უნდა გამოიყენონ ბულებები):

- ეს ინფორმაცია აუცილებელია კომპანიის ფინანსური მოქნილობისა და ღირებულების ცვლილებების პერსპექტივის შესაფასებლად;
- ეს ინფორმაცია აუცილებელია საწარმოს რისკის მახასიათებლების შესაფასებლად;

- ეს ინფორმაცია აუცილებელია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ნებისმიერი პოტენციური ცვლილების შესაფასებლად;
- ინვესტორებს განსხვავებული მოთხოვნები აქვთ კაპიტალის შესახებ ინფორმაციის მიმართ;
- თუ ROCE გამოიყენებენ, ინვესტორებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია წარსულში გამოყენებული კაპიტალის არსისა და რაოდენობის შესახებ;
- ბასს-მა ეს განმარტებები/გასამაჟღავნებელი ინფორმაცია შეიტანა ბასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“;
- ფასს სტანდარტები ამჟღავნებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ კაპიტალის მართვის სფეროში საწარმოს მიზნები, პოლიტიკა და პროცესები;
- ფინანსური ანგარიშგების მიზანი მიიღწევა როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მონაცემების გამჟღავნებით;
- ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება - „ხელმძღვანელობის კომენტარები“ - მოიცავს რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ ხელმძღვანელობამ წარმოადგინოს საპროგნოზო ინფორმაცია;
- მეორე მხრივ, საწარმოს კაპიტალის სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია ინვესტორმა შეიძლება მოიძიოს იმ ოპერაციიდანაც, რომელშიც საწარმო მონაწილეობს;
- ფინანსური კაპიტალის, საწარმოო კაპიტალის, ინტელექტუალური კაპიტალის, ადამიანური კაპიტალის, სოციალური და მომხმარებლებთან ურთიერთობის კაპიტალის და ბუნებრივი კაპიტალის განხილვა;

ამგვარად, პასუხი ეყრდნობა არა სახელმძღვანელოს მასალას, არამედ კანდიდატის ფართო აზროვნებას/ერუდიციას და ინვესტორის საჭიროებების გლობალურ აღქმას. ამგვარი ფართო ერუდიცია აუცილებელია „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის“ გამოცდაზე წარმატების მისაღწევად. გარდა ამისა, კანდიდატებს შეუძლიათ 1-ზე მეტი ქულის მიღება თითო მოსაზრებაზე, თუ ისინი საკითხს განავრცობენ და უფრო სრულყოფილად/დეტალურად განიხილავენ/ახსნიან. ქულა მიეკუთვნება კანდიდატების ნებისმიერ მართებულ დამატებით მოსაზრებასაც, რომელიც გათვალისწინებული არ არის შემოთავაზებულ სანიმუშო პასუხში. ზემოაღნიშნული განხილვიდან ამკარად ჩანს, რომ „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის“ გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელია პასუხის შინაარსის გარკვეული მინიმალური დონე და ამიტომ ერთი ან ორი პუნქტი/მოსაზრება საკმარისი არ იქნება.

კითხვის „გ“ ნაწილის მოთხოვნა ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად:

იმსჯელეთ, ზემოაღნიშნული ოპერაციების სააღრიცხვო მიდგომა მისაღებია თუ არა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის, განიხილეთ ნებისმიერი კორექტირება, რომელიც საჭიროა კაპიტალიზაციის ცხრილისთვის, ასევე შეცდომების გავლენა ლევერიჯისა და გამოყენებული კაპიტალის უკუგების კოეფიციენტებზე.

(9 ქულა)

პასუხში კანდიდატებს უნდა ემსჯელათ იმის თაობაზე, ბუღალტრული აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდი რატომ იყო მიუღებელი ფასს სტანდარტების მიხედვით, უნდა განეხილათ სწორი სააღრიცხვო მიდგომა და შემდეგ სააღრიცხვო კოეფიციენტებზე მათი გავლენა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კითხვაში მითითებული კოეფიციენტები შეიძლება არასტან-

დართული კოეფიციენტები იყოს, რომლებსაც საწარმო იყენებს საკუთარი საქმიანობის შესაფასებლად, მაგრამ კითხვაში ნათლად იქნება მითითებული, როგორ არის გამოთვლილი ეს კოეფიციენტები.

ფინანსური ანგარიშგების კორექტირების შემდეგ ლევერიჯის კოეფიციენტი უფრო დაბალი აღმოჩნდა ვალდებულებების შემცირების გამო, მაგრამ ROCE იგივე დარჩა. კანდიდატებს უნდა გაეკორექტირებინათ კაპიტალიზაციის ცხრილი საწარმოს კაპიტალის ცვლილების გასათვალისწინებლად, რაც გამოიწვია ფასს 2-ის მიხედვით არასწორმა კლასიფიკაციამ და შეცდომებმა. კანდიდატებს, როგორც ჩანს, საკმაოდ რთული მოეჩვენათ კაპიტალიზაციის ცხრილის კორექტირება, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მათ ესმით შეცდომების ბუნება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სააღრიცხვო შეცდომების გავლენას ძირითად ინფორმაციებზე რეგულარულად შეამოწმებს გამომცდელი „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების“ მოდულის გამოცდაზე.

ამ კითხვაში, ქულების ნახევარზე მეტი მიკუთვნებული აქვს სწორი სააღრიცხვო მიდგომის განხილვას, ცხრილის კორექტირების ნაშთს და კოეფიციენტებზე შეტანილი კორექტირების გავლენას. ამგვარად, კანდიდატები ვერ „ჩააბარებენ“ ამ კითხვას, თუ ისინი მხოლოდ ყურადღებას გაამახვილებენ გამოთვლებზე ან უბრალოდ განიხილავენ სწორ სააღრიცხვო მეთოდს. „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის“ გამოცდის მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ არ არსებობს არჩევითი კითხვები და ამიტომ კანდიდატებმა პასუხის გაცემა უნდა სცადონ ყველა კითხვის ყველა ნაწილზე.

დასკვნის სახით

ამ სტატიის მიზანი იყო, კანდიდატებისთვის გვეჩვენებინა, თუ როგორ უნდა გამოიყენონ კონცეპტუალური საფუძვლების პრინციპებისა და ფასს სტანდარტების მოთხოვნების ცოდნა კითხვის სცენარებთან მიმართებით, ვინაიდან ეს ისეთი უნარია, რომლისთვისაც ქულებს იღებენ კანდიდატები „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგების მოდულის“ გამოცდაზე. ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ, კანდიდატებმა უკვე უნდა სცადონ პასუხის გაცემა შემდეგ საგამოცდო კითხვებზე გამოცდის პირობებში:

- **3ა კითხვა** 2018 წლის მარტი/ივნისი P2 წიგნის „კორპორაციული ანგარიშგების“ გამოცდიდან; და
- **მე-4 კითხვა** 2017 წლის სექტემბერი/დეკემბერი P2 წიგნის გამოცდიდან.

კარგად გაიაზრეთ ჩვენი რჩევები და შეეცადეთ, თქვენი თეორიული ცოდნა გამოიყენოთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული მიდგომის გამოყენებით. თქვენი პასუხი შეუდარეთ გამომცდელთა გუნდის მიერ შემოთავაზებულ სანიმუშო პასუხებს. შემფასებლის პოზიციიდან იფიქრეთ იმაზე, სად შეიძლება მიიღოთ ქულები. ეს სტრატეგია გამოიყენეთ მაშინაც, როდესაც ივარჯიშებთ გასული პერიოდების საგამოცდო კითხვებზე და ნახავთ, როგორ გახდება თქვენი პასუხები უფრო ღრმა, ხოლო კომპანიისთვის მიცემული თქვენი რჩევები უფრო სასარგებლო და საიმედო, რომლებიც ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ ბულალტრული აღრიცხვის პრინციპებს.

ACCA გლობალური ბიზნესსერვისების სერტიფიკატს გაუშვებს



სერტიფიცირებულ ბულალტერთა ასოციაცია (ACCA) 2022 წლის აპრილში გაუშვებს გლობალური ბიზნესსერვისების (GBS) სერტიფიკატს. გლობალური ბიზნესსერვისები, საერთო სერვისები და აუთსორსინგის ინდუსტრია ერთერთი ყველაზე მზარდი ფინანსური ტრანსფორმაციის მრავალი პროგრამის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს, მსოფლიოს მასშტაბით.

ACCA-ს სერტიფიკატი მსოფლიოს 50 დიდ დამსაქმებელთან კონსულტაციების შედეგად შეიქმნა და გამიზნულია ტექნიკური უნარების, ინდუსტრიის ცოდნის, ბიზნესალოოსა და ანალიტიკური შესაძლებლობების ზრდისკენ, რაც აუცილებელია ბიზნესის ფინანსური ფუნქციების მნიშვნელობის გასაზრდელად.

ACCA-ს დირექტორი პროფესიული განათლების საკითხებში, რეზა ალი, აცხადებს: „ACCA მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებს ბიზნესებისთვის. ჩვენ ვიკვლევთ მუდმივად ცვლად ინდუსტრიას და მის საჭიროებებს, ჩვენ ვქმნით ინდუსტრიისთვის რელევანტურ კურსებსა და სერტიფიკატებს და შემდეგ ვთავაზობთ მათ ჩვენს პარტნიორ ინსტიტუტებს. ეს ყველაფერი მიმართულია იქით, რომ ჩვენს პარტნიორებს მივცეთ სწავლის საუკეთესო გამოცდილება, რაც მათ ცოდნისა და განვითარების საჭიროებებზე იქნება მორგებული.“

ჩვენი ახალი GBS სერტიფიკატი გლობალური საერთო სერვისების სექტორში მომუშავე ფინანსების პროფესიონალებს მისცემს იმ უნარებსა და ექსპერტიზას, რაც საჭიროა ასეთი ორგანიზაციის ფარგლებში წარმატების მისაღწევად. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები გაეცნობიან საერთო სერვისებისა და აუთსორსინგის ბიზნესმოდელს, შეიძენენ ტექნიკურ უნარებს, ინდუსტრიის ცოდნას, ბიზნესალოოსა და ანალიტიკურ შესაძლებლობებს, რაც აუცილებელია აღნიშნულ ბიზნესში ღირებულების შესაქმნელად.

მისი მიზნობაა მოხდეს ACCA-ს სასწავლო ონლაინპლატფორმის საშუალებით, რომელიც ფინანსების პროფესიონალებს მომავალზე ორიენტირებული განგრძობითი სწავლების გადანყვეტილებებს სთავაზობს.“

სერტიფიცირების პროგრამა ხუთი ძირითადი მოდულისგან შედგება და მოიცავს 30-საათიან ინტერაქტიულ ონლაინკურსს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები:

- გაეცნობიან იმ პრინციპებსა და პრაქტიკებს, რომელთა საფუძველზეც ფუნქციონირებენ საერთო სერვისების საუკეთესო გუნდები;
- შეიძენენ უკეთესი პროცესების შესაქმნელად და ცვლილებების სამართავად საჭირო უნარებსა და გამოცდილებას;
- ისწავლიან, როგორ დაიმორჩილონ და მოარგონ საკუთარ ინტერესებს ინოვაციური ტექნოლოგიები;
- შეიძენენ ძირითად ბიზნესუნარებს, რომლებიც საჭიროა GBS გარემოსთვის.
- კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, სტუდენტები მიიღებენ გლობალური ბიზნესსერვისების სერტიფიკატს.

აუდიტი 10 წელიწადში

დროთა განმავლობაში, ყველა პროფესია იცვლება, თუმცა რევიზორული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და სფეროს გაფართოება ფინანსური ინფორმაციის მიღმა გულისხმობს, რომ აუდიტორთა პროფესიაში უფრო მკვეთრი ცვლილებებია მოსალოდნელი.

10 წელიწადში აუდიტორებს ახალი უნარები, კომპეტენციები და შესაძლებლობები დასჭირდებათ, რომელზე მუშაობაც დღეს უნდა დაიწყონ მიუხედავად იმისა, უკვე არიან პროფესიაში თუ ახლა იწყებენ კარიერას.

შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ იმაში, თუ რა არ შეიცვლება: აუდიტორებს მომავალშიც მოეთხოვებათ პროფესიული სკეპტიციზმი, ტექნიკური ცოდნა და დამოუკიდებლობა.

EY-ს ამერიკის მარწმუნებელი მიმართულების ვიცე-თავმჯდომარე, ჯონ კინგი, აცხადებს:

„მე ამ ყველაფერს ჩემი ქალიშვილის თვალით ვუყურებ და ვხედავ, რომ ის ძირითადი „გარიგება“ პროფესიასა და ამ კარიერის მოსურვე ადამიანებს შორის, კვლავ იგივეა - შენ იძენ შესანიშნავ უნარებს, შესანიშნავ გამოცდილებებს და მხოლოდ ის მოგეთხოვება, რომ ბევრი იმუშაო და გინდოდეს ამ გამოცდილებების მიღება. მე ვთვლი, რომ ახლა უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე გასული 30 წლის განმავლობაში, რაც მე ამ საქმეს ვაკეთებ. როცა ვუყურებთ იმას, თუ სად ვართ ახლა - მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ პროფესიას ახასიათებს სიცოცხლისუნარიანობა და იმედი მაქვს, ადამიანები ამას ხედავენ.“

რა თქმა უნდა, სიცოცხლისუნარიანობის ერთერთი მახასიათებელია ზრდა, რაც აუდიტორებისთვის ნიშნავს ზრდას არსებული განსაზღვრების მიღმა.



ჯონ კინგი
EY-ს ამერიკის მარწმუნებელი მიმართულების ვიცე-თავმჯდომარე

„როცა ვფიქრობ მომავლის აუდიტორზე, მე წარმოვიდგენ ნაწილობრივ ბულალტერს, ნაწილობრივ ტექნოლოგს, ნაწილობრივ დატა-ანალიტიკოსს და, ამ ყველაფერთან ერთად, ექსპერტიზას რომელიმე სფეროში (იქნება ის რომელიმე ინდუსტრია, თუ ღრმა ტექნოლოგიური სფერო),“ - განმარტავს სიუ კოფი, AICPA-ს საჯარო ანგარიშგების დირექტორი. „ჩვენ ვერ ვიქნებით ყველაფერი ყველასთვის, თუმცა ჩვენ დაგვჭირდება ძირეული ცოდნა და გამოცდილება საკვანძო სფეროებში. ბიზნესის გართულებასთან ერთად, წარმოიშობა სხვადასხვა სპეციალიზების საჭიროება და ახალგაზრდა აუდიტორებს მოუწევთ ამაზე დაფიქრება.“

იმისათვის, რომ ახალგაზრდა აუდიტორებს ამ საკითხზე ფიქრისკენ ვუბიძგოთ, აუდიტის რამდენიმე ექსპერტს ვთხოვეთ, აღწერათ, თუ რა უნდა იცოდნენ ამ პროფესიის ადამიანებმა 10 წლის შემდეგ:

ტექ-საზრიანი

შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ისედაც ცხადია, მომავლის აუდიტორებს დასაჭირდებათ იყვნენ უფრო კომფორტულად ტექნოლოგიებთან, თუმცა აღნიშნული საკითხი იმდენად კრიტიკულია აუდიტის სფეროსთვის, რომ ამის მხოლოდ აღნიშვნა არასოდესაა საკმარისი.

„ისინი განსაკუთრებით ძლიერები უნდა იყვნენ ტექნოლოგიებში. მათ ხელოვნური ინტელექტის შექმნა არ მოეთხოვებათ, თუმცა უნდა ჰქონდეთ აღნიშნული ტექნოლოგიების ღრმა გაგება.“

ანალიტიკოსები, არა უბრალოდ შემგროვებლები

აუდიტის „შავი“ საქმის უდიდესი ნაწილი ავტომატიზებული გახდება და ეს ნიშნავს, რომ საჭირო იქნება, ინფორმაციას სხვა-ნაირად მივუდგეთ.

გამომდინარე იქიდან, რომ ტექნოლოგია მრავალი წყაროდან შეგროვებულ ინფორმაციას შეკრებს, აუდიტორის ფოკუსი ამ ინფორმაციის კომპილაციაზე კი არა, არამედ - მის ანალიზზე იქნება.

„გქონდეს უნარი, იმუშაო ინფორმაციასთან და შექმნა რეალურად მნიშვნელოვანი ინფორმაცია კლიენტთან და ინდუსტრიასთან დაკავშირებით, პროფესიის ნორმა გახდება.“

უფრო ჭკვიანი, უფრო სწრაფად

აჩქარდება არა მხოლოდ მათი მუშაობა ინფორმაციის ანალიზში: მომავლის აუდიტორები აღმოაჩენენ, რომ უფრო მეტი მალაღი დონის სამუშაოს შესრულება მოუწევთ კარიერის ადრეული პერიოდისაგანვე.



ლიდერები და გუნდის მენეჯერები

აუდიტის გუნდები პროფესიის საყრდენს წარმოადგენს, თუმცა მათი კომპოზიცია მნიშვნელოვნად შეიცვლება. გუნდებს უფრო და უფრო ხშირად დაემატება არაბულალტრული როლები, რათა შეივსოს ტექნოლოგიური და დატა-ანალიტიკის უნარების, ასევე კლიენტის ინდუსტრიის ღრმა ცოდნის საჭიროებები. ეს აუდიტორებისგან მოითხოვს ლიდერობისა და მართვის ახალ უნარებს.

სპეციალიზებული

ათი წლის შემდეგ, აუდიტის გუნდის ძირითადი დანიშნულება აღარ იქნება საკმარისი რაოდენობის ადამიანების ჩართვა სამუშაოს მოცულობის შესასრულებლად, არამედ - ყველა საჭირო ექსპერტული ცოდნის მობილიზება მაღალი ხარისხის აუდიტის ჩასატარებლად. შესაბამისად, აუდიტორებს მოეთხოვებათ, ჰქონდეთ საკუთარი უნიკალური უნარებისა და გამოცდილებების არსენალი.

წყარო: accountingtoday.com

ვებგვერდი, 09/03/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017561

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №67 2022 წლის 7 მარტი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დანართი №IV-01-ის „განაყოფი V“ და „განაყოფი VI“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. 78-ე მუხლის მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6¹ პუნქტი:

„6¹. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლის იმპორტის შემთხვევაში, აქციზური საქონლის აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას ახორციელებს საქონლის იმპორტიორი, ამ საქონლის შესაბამისი საბაჟო კონტროლის ზონიდან ტრანსპორტირების დასრულების ადგილზე მიტანის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ამ ადგილიდან გატანისა.

შენიშვნა:

აკრძალულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემდეგ ქვეყნის შიგნით აქციზური მარკით ნიშანდების გარეშე მიწოდება.“.

3. 79-ე მუხლის მე-4 პუნქტის:

ა) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული თამბაქოს ნაწარმისათვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 8.0 ევროს ეკვივალენტი ლარებში;“;

ბ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ და „თ¹“ ქვეპუნქტები:

„თ) ადგილობრივი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 8.0 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

თ¹) იმპორტირებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლისთვის განკუთვნილ 1 000 ცალ აქციზურ მარკაზე – 11 ევროს ეკვივალენტი ლარებში.“.

4. 79² მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტები:

„რ) იმპორტირებული სითხეები განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის 1 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი);

ს) იმპორტირებული სითხეები განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისთვის 10 000-ცალიანი რულონი (თვითწებადი).“;

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 და 2403 91 000 00 კოდებში მითითებული საქონლისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების ფონური ფერი განისაზღვრება ადგილობრივი უფილტრო

თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად, ხოლო აქციზური მარკების შეფუთვის ფორმები განისაზღვრება ადგილობრივი დანარჩენი თამბაქოსთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად.“;

გ) მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 (3824 90 980 01) კოდში მითითებული საქონლისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების ფონური ფერი განისაზღვრება ადგილობრივი მოსაწევი სითხეებისთვის – ადგილობრივი უფილტრო თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად, ხოლო იმპორტული მოსაწევი სითხეებისთვის – იმპორტული უფილტრო თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად. აქციზური მარკების შეფუთვის ფორმები განისაზღვრება მოსაწევი სითხეებისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების შესაბამისად.“.

5. 80¹ მუხლის:

ა) მე-5 და 5¹ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. შემოსავლების სამსახური განიხილავს პირის მიერ წარმოდგენილ განაცხადს და 2 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას მატერიალური ფორმის მარკების შექმნის შესახებ განაცხადის დადასტურების თაობაზე.

5¹. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, მატერიალური ფორმის მარკების შექმნის შესახებ განაცხადის დადასტურების მიზნით, პირს მოსთხოვოს დამატებით ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია მარკების გაცემასთან.“;

ბ) 5¹ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5²-5⁴ პუნქტები:

„5². აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადასახადის გადამხდელთან გაფორმებულია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულება) წარმოადგენს განაცხადის დადასტურებაზე უარის თქმის საფუძველს.

5³. აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის ან/და დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის საჭიროების შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური პირს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს. თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი (განაცხადის დადასტურების მომენტისთვის პირს გააჩნია აღიარებული საგადასახადო დავალიანება ან/და არ იქნა წარმოდგენილი საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია), შემოსავლების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ.

5⁴. მატერიალური ფორმის მარკების შექმნაზე განაცხადის დადასტურებიდან 1 სამუშაო დღეში, შერჩეული პირი განმცხადებელს უგზავნის შეტყობინებას მატერიალური ფორმის მარკების მიწოდების თარიღის თაობაზე და ინვოისის გადასახდელი ნომინალური ღირებულების თანხისა და ანგარიშის რეკვიზიტების მითითებით. ინვოისით გათვალისწინებული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს 4 კალენდარულ დღეში. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ შერჩეული პირი უფლებამოსილია გააუქმოს განაცხადი და უარი თქვას მატერიალური ფორმის მარკების გაცემაზე.“.

6. 80² მუხლის:

ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. შემოსავლების სამსახური განიხილავს პირის მიერ წარმოდგენილ განაცხადს და 2 სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას არამატერიალური ფორმის მარკების შექმნის შესახებ განაცხადის დადასტურების თაობაზე“;

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹-5⁴ პუნქტები:

„5¹. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, არამატერიალური ფორმის მარკების შექმნის შესახებ განაცხადის დადასტურების მიზნით, პირს მოსთხოვოს დამატებით ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია მარკების გაცემასთან.

5². აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადასახადის გადამხდელთან გაფორმებულია აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულება) წარმოადგენს განაცხადის დადასტურებაზე უარის თქმის საფუძველს.

5³. აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის ან/და დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის საჭიროების შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური პირს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 კალენდარულ დღეს. თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი

(განაცხადის დადასტურების მომენტისთვის პირს გააჩნია აღიარებული საგადასახადო დავალიანება ან/და არ იქნა წარმოდგენილი საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაცია), შემოსავლების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ.

5⁴. არამატერიალური ფორმის მარკების შექმნაზე განაცხადის დადასტურებიდან 1 სამუშაო დღეში შერჩეული პირი განმცხადებელს უგზავნის ინვოისის გადასახდელი ნომინალური ღირებულების თანხისა და ანგარიშის რეკვიზიტის მითითებით. არამატერიალური ფორმით აქციზური საქონლის სავალდებულო ნიშანდებას/არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებას შერჩეული პირი უზრუნველყოფს გამამხდელის მიერ ინვოისით გათვალისწინებული თანხის გადახდიდან არაუგვიანეს მეორე დღისა.“.

7. 81² მუხლის მე-5 პუნქტის:

ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მატერიალური ფორმის მარკების მიღებიდან 6-თვიან პერიოდში მოახდინოს იმპორტისათვის მიღებული მატერიალური ფორმის მარკების გამოყენება ან დაბრუნება. იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევამდე, გარდა ამ ინსტრუქციის 78-ე მუხლის 61 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, უზრუნველყოს პროდუქციაზე ნიშანდების/მარკირების შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში ასახვა (გააქტიურება);“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ1“ ქვეპუნქტი:

„დ¹) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიზნებისთვის, ამავე მუხლის 12 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, იმპორტიორის მიერ აქციზური მარკების მიღებიდან 6 თვეში გამოუყენებელი მარკების დაუბრუნებლობა ითვლება აქციზური მარკების სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის ქვეყნის შიგნით მიწოდებად და შესაბამისად დაიბეგრება აქციზით, ხოლო შემდგომ პერიოდში, დაუბრუნებელი აქციზური მარკებით საქონლის ამ ინსტრუქციის 78-ე მუხლის 61 პუნქტის შესაბამისად საქონლის ნიშანდების შემთხვევაში, მოხდება გადასახდელად დარიცხული აქციზის გადაანგარიშება ფაქტობრივად განხორციელებული იმპორტის ოდენობის პროპორციულად;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლამა ხუციშვილი

განაცხადი V.

ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ აქციზურ მარკებზე, რომლის მიღებიდან 6 თვეში არ განხორციელდა საქონლის იმპორტი ან რომლის მიღებიდან 6 თვეში არ განხორციელდა სეს ესნ 3824 90 980 01 კოდში მითითებული იმპორტირებული საქონლის ნიშანდება

| № | აქციზური მარკების შექმნის შესახებ განაცხადის № | სეს ესნ კოდი | საქონლის რაოდენობა | აქციზური მარკების მიღების თარიღი | მიღებული აქციზური მარკების რაოდენობა | მიღებული აქციზური მარკების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ასეთის არსებობის შემთხვევაში | | |
|---|--|--------------|--------------------|----------------------------------|--------------------------------------|---|--------|--------------------|
| | | | | | | სერია | ნომერი | შეფუთვის შტრიხკოდი |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |

განყოფი VI.

ინფორმაცია აქციზურ მარკებზე, რომლის ნიშანდებითაც განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი ან რომლითაც განხორციელდა სეს ესნ 3824 90 980 01 კოდში მითითებული იმპორტირებული საქონლის ნიშანდება საანგარიშო პერიოდში

| № | საბაჟო დეკლარაციის | | სეს ესნ კოდი | იმპორტირებული საქონლის რაოდენობა | მიღებული აქციზური მარკების რაოდენობა, რომლითაც განხორციელდა იმპორტირებული საქონლის ნიშანდება | მიღებული აქციზური მარკების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ასეთის არსებობის შემთხვევაში | | |
|---|---------------------|--------|--------------|----------------------------------|--|---|--------|--------------------|
| | რეგისტრაციის თარიღი | ნომერი | | | | სერია | ნომერი | შეფუთვის შტრიხკოდი |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | | | |

ვებგვერდი, 16/03/2022
 სარეგისტრაციო კოდი
 200090000.22.033.017564

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
 ბრძანება №74
 2022 წლის 15 მარტი ქ. თბილისი
 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს
 ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში
 ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „ბ) საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი;“.

2. მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა და იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება გადახდის წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან) და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი, საგადასახადო აღრიცხვის მიზნით, შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-01 დანართის შესაბამისად;

ბ) საქართველოს მოქალაქე და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი – პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირები – პირადობის ნეიტრალურ მოწმობას ან ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს.“;

ბ) მე-2 პუნქტის:

ბ.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ამხანაგობის შემთხვევაში, ამავე კანონის შესაბამისად შედგენილ და სანოტარო ან სათანადო წესით დადასტურებული წესდების ასლს, ხოლო სხვა შემთხვევაში – ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ნოტარიულად ან სათანადოდ დამოწმებულ ასლს, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ბ.ა) სახელწოდებას;

ბ.ბ) ყველა მონაწილის ნოტარიულად დამოწმებულ ხელმოწერას, მათი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით/სარეგისტრაციო დოკუმენტით გათვალისწინებულ პირად ნომერს/საიდენტიფიკაციო ნომერს და მისამართს;

ბ.გ) იურიდიულ მისამართს;

ბ.დ) მონაწილეთა მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს;

ბ.ე) ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს (პირებს);

ბ.ვ) მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესს და პირობებს;

ბ.ზ) მონაწილეთა უფლებებს და მოვალეობებს;

ბ.თ) ხელშეკრულებიდან გასვლის წესს;

ბ.ი) საქმიანობის ხანგრძლივობას;

ბ.კ) ხელშეკრულების მოშლისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს;

ბ.ლ) მონაცემებს ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნის შესახებ;

ბ.მ) კანონმდებლობით მოთხოვნილ სხვა დებულებებს;“;

ბ.ბ) „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ¹) საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის ასლს, ხოლო საწარმოს/ორგანიზაციის, რომელსაც არ აქვს გავლილი სახელმწიფო/საგადასახადო რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად – ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი დოკუმენტაციის სათანადოდ დადასტურებულ/დამოწმებულ ასლს – იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს დამფუძნებელს/წევრს წარმოადგენს ასეთი პირი;“;

გ) მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ინფორმაციას იურიდიული მისამართის შესახებ და ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის რეკვიზიტებს (თუ აღნიშნულ ინფორმაციას არ შეიცავს ამ პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია);“;

დ) მე-5 პუნქტის:

დ.ა) „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ლეგალიზებულ/აპოსტილით დამოწმებულ, ქართულ ენაზე თარგმნილ და სანოტარო წესით დადასტურებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის ლეგალიზება/აპოსტილით დამოწმება არ მოითხოვება – მხოლოდ მის ნოტარიულად დადასტურებულ თარგმანს ქართულ ენაზე;

გ) დოკუმენტს, რომელიც უნდა მოიცავდეს სახელწოდებას, იურიდიულ მისამართს, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთა და დამფუძნებელთა რეკვიზიტებს (თუ აღნიშნულ მონაცემებს არ შეიცავს სადამფუძნებლო დოკუმენტაცია);“;

დ.ბ) „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ¹“ ქვეპუნქტი:

„გ¹) მუდმივი დაწესებულების შემთხვევაში, ასევე – დოკუმენტს, რომლიდანაც ვლინდება ინფორმაცია საქართველოში არსებული ფაქტობრივი მისამართის და ადგილობრივი ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ;“;

ე) 5¹ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ლეგალიზებულ/აპოსტილით დამოწმებულ, ქართულ ენაზე თარგმნილ და სანოტარო წესით დადასტურებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას ან მხოლოდ მის ნოტარიულად დადასტურებულ თარგმანს ქართულ ენაზე – იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაციის ლეგალიზება/აპოსტილით დამოწმება არ მოითხოვება, და, არსებობის შემთხვევაში, სხვა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება საწარმოს მართვის ადგილის საქართველოში გადმოტანა;“;

ვ) მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) დიპლომატიური პასპორტის ასლს;“;

ზ) მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საგადასახადო აღრიცხვის თაობაზე განცხადებაში ასახული მონაცემები არ შეესაბამება წარდგენილ დოკუმენტებს;“;

თ) მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12¹ პუნქტი:

„12¹. ამ მუხლის მე-12 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს საგადასახადო აღრიცხვაზე უარი შეიძლება ეთქვას მხოლოდ მას შემდეგ, რაც კანონმდებლობით დადგენილი წესით განესაზღვრება ვადა დოკუმენტის ან/და სხვა ინფორმაციის წარდგენისათვის და აღნიშნულ ვადაში გადასახადის გადამხდელის მიერ არ იქნება ან/და არასრულყოფილად იქნება წარმოდგენილი საგადასახადო ორგანოში შესაბამისი დოკუმენტი/ინფორმაცია.“.

3. დანართი №I-01 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

4. დანართი №I-02 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

5. დანართი №I-021 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

6. მე-6 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სააღრიცხვო მონაცემების ცვლილება ნიშნავს გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფლის, სახელწოდების/სახელის ან/და გვარის, სამართლებრივი ფორმის ან/და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის შეცვლას. ამასთან, გაერთიანების, ამხანაგობის ან სხვა მსგავსი წარმონაქმნის შემთხვევაში (გარდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ამხანაგობისა), სააღრიცხვო მონაცემების ცვლილება ასევე მოიცავს ამხანაგობის, გაერთიანების ან სხვა მსგავსი წარმონაქმნის მონაწილე პირების (წევრების) შესახებ მონაცემების შეცვლას.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹-1⁶ პუნქტები:

„1¹. საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა და იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება გადახდის წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან) და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი, სააღრიცხვო მონაცემების ცვლილების მიზნით, შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-01 დანართის შესაბამისად;

ბ) საქართველოს მოქალაქე და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი – პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრები პირები – პირადობის ნეიტრალურ მოწმობას ან ნეიტრალურ სამგზავრო დოკუმენტს;

გ) თუ სააღრიცხვო მონაცემების ცვლილება ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით – გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირის მიერ გაცემულ და სანოტარო წესით დადასტურებულ მინდობილობას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინდობილობასთან გათანაბრებულ დოკუმენტს.

1². გაერთიანება, ამხანაგობა და სხვა მსგავსი წარმონაქმნი, სააღრიცხვო მონაცემების ცვლილების მიზნით, შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-02 დანართის შესაბამისად;

ბ) ყველაწევრის მიერ ხელმოწერილ დანოტარიულად დადასტურებულ კრების (სხდომის) ოქმს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულება ან კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების განსხვავებულ წესს), სადაც უნდა ფიქსირდებოდეს ცვლილების შესახებ ინფორმაცია.

შენიშვნა: ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრების (სხდომის) ოქმთან ერთად, გადასახადის გადამხდელისგან შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს ასევე წევრთა ან მმართველობის/წარმომადგენლობის ორგანოს სხვა გადაწყვეტილების წარდგენა, რომელიც შესაძლოა, უკავშირდებოდეს სუბიექტის სააღრიცხვო მონაცემების ცვლილებას;

გ) ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ნოტარიულად ან სათანადო წესით დადასტურებულ ასლს (ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში);

დ) სხვა შესაბამის დოკუმენტს, რომელიც მოითხოვება კანონმდებლობით ან/და იწვევს სააღრიცხვო მონაცემების ცვლილებას.

1³. საჯარო სამართლის იურიდიული პირი და საბიუჯეტო ორგანიზაცია, სააღრიცხვო მონაცემების ცვლილების მიზნით, შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-02 დანართის შესაბამისად;

ბ) ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილებას ან/და დებულებას/წესდებას (დებულების/წესდების ცვლილების შემთხვევაში);

გ) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების შემთხვევაში, აღნიშნული პირის პირად რეკვიზიტებს.

1⁴. უცხოური საწარმო/ორგანიზაცია, მისი მუდმივი დაწესებულება, აგრეთვე, არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივი დაწესებულება, სააღრიცხვო მონაცემების ცვლილების მიზნით, შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-02 დანართის შესაბამისად;

ბ) ლეგალიზებულ/აპოსტილით დამოწმებულ, ქართულ ენაზე თარგმნილ და სანოტარო წესით დადასტურებულ ცვლილების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის ლეგალიზება/აპოსტილით დამოწმება არ მოითხოვება – მხოლოდ მის ნოტარიულად დადასტურებულ თარგმანს ქართულ ენაზე.

1⁵. დიპლომატიური სტატუსის მქონე ორგანიზაცია, სააღრიცხვო მონაცემების ცვლილების მიზნით, შემოსავლების სამსახურს წარუდგენს:

ა) განცხადებას, №I-02 დანართის შესაბამისად;

ბ) შესაბამისი ცვლილების განხორციელების დადასტურების თაობაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემულ წერილს.

1⁶. თუ გადასახადის გადამხდელის სააღრიცხვო მონაცემების ცვლილება ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით, ამ მუხლის 1²-1⁵ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემოსავლების სამსახურს წარედგინება უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა.“;

გ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ და 4² პუნქტები:

„4¹. გადასახადის გადამხდელს სააღრიცხვო მონაცემების ცვლილებაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ:

ა) სააღრიცხვო მონაცემების ცვლილების თაობაზე განცხადებაში ასახული მონაცემები არ შეესაბამება წარდგენილ დოკუმენტებს;

ბ) სრულყოფილად არ არის წარდგენილი ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები.

4². ამ მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს სააღრიცხვო მონაცემების ცვლილებაზე უარი შეიძლება ეთქვას მხოლოდ მას შემდეგ, რაც კანონმდებლობით დადგენილი წესით განესაზღვრება ვადა დოკუმენტის ან/და სხვა ინფორმაციის წარდგენისათვის და აღნიშნულ ვადაში გადასახადის გადამხდელის მიერ არ იქნება ან/და არასრულყოფილად იქნება წარმოდგენილი საგადასახადო ორგანოში შესაბამისი დოკუმენტი/ინფორმაცია.“.

მუხლი 2


ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლამა ხუციშვილი

| განცხადება ფიზიკური პირის საგადასახადო აღრიცხვის/ ცვლილების შესახებ | | | | |
|---|---|---------------|----------|--|
| 1. მარეგისტრირებელი ორგანო | | | | |
| (შემოსავლების სამსახურის სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეული) | | | | |
| 2. ინფორმაცია ფიზიკური პირის შესახებ | | | | |
| გვარი | სახელი | ქვეყანა | | |
| მაიდენტიფიცირებელ დოკუმენტში მითითებული საცხოვრებელი ადგილი | | | | |
| | მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის სახელწოდება და ნომერი | პირადი ნომერი | | |
| ფიზიკური პირის საქმიანობის ადგილი | | | | |
| 3. საკონტაქტო მონაცემები | | | | |
| | ტელ.: | | ელ.ფოსტა | |
| ვადასტურებ, რომ განცხადების მონაცემები შეესაბამება სინამდვილეს, არის სწორი და სრული | | | | |
| 4. ფიზიკური პირის ან მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)...../...../..... | | | | |
| | | | | |
| 5. საიდენტიფიკაციო ნომერი | | | | |
| * საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის ნომერი | | | | |

| | | | | | | |
|--|--------------------------|-------|---|-------------|---------------------------------|---------------|
| განცხადება | | | | | | |
| გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის/ცვლილების შესახებ | | | | | | |
| ნაწილი I. განცხადების წარდგენის მიზანი | | | | | | |
| <input type="checkbox"/> პირველადი რეგისტრაცია | | | <input type="checkbox"/> ცვლილების რეგისტრაცია | | | |
| ნაწილი II - ინფორმაცია მარეგისტრირებელი ორგანოს და გადასახადის გადამხდელის შესახებ | | | | | | |
| 1. შემოსავლების სამსახურის | | | | | | |
| <i>(სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეული)</i> | | | | | | |
